# საქართველოს რესპუბლიკა



იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

დაარსებულია 1918 წელს.

შაბათი, 24 ივლისი, 2010 წელი.

№138 (6504)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@ayety.ge ვებ გვერდი: www.open.ge ფასი 50 თეთრი.




## გურული მხედრების ბედი და გერმანელი პრინცის სიყვარულის ამბავი ⑨

## პრეზიდენტის მორიგი სიცრუე და ხალხის „დაბოლების“ მცდელობა ②

## მიხეილ სააკაშვილს ვენეციის კომისია თავისი კუდი ხომ არ ჰგონია?

## სააკაშვილმა, კვერის დამკვრელები არ მჭირდებიანო, მაგრამ დამქაშებზე არაფერს ამბობს ③

## საქართველო არალეგალური ბიზნესის, ანუ ჩრდილოვანი ფარული ეკონომიკის დონის მიხედვით, თავში მოექცა 151 ქვეყანას ④

## ოპოზიციაც და ხელისუფლებაც ერთ „ჩიხურ“ ტაფაში არიან... ③





## როგორ ⑧ გაინიკარაგუელ-გაივენესუელელეს თავი ბაღაფშმა და კოკოითმა



## მილიონობით ოდენობის სესხებზე „დაფუძნებული“ ქვეყანა და გასასხვისებლად გამზადებული საქართველოს რკინიგზა ⑤

გლოვა

## მთებში შეწყვეტილი სიმღერა...



თავზარდამცემმა ამბავმა შეძრა სრულიად საქართველო — გუშინწინ, სალამოხანს, ხევსურეთში, მუცოს ხეობაში მომხდარმა ავტოავარიამ, როდესაც ჯიპის ტიპის მანქანა მოცურდა და ხევში გადაიჩეხა, შვიდი ადამიანის სიცოცხლე იმსხვერპლა. მათ შორის იყვნენ ჩვენი რედაქციის ახლობელი ადამიანებიც — პოეტი გელა დაიაური და მისი მეუღლე, მომღერალი თეონა ქუმსიაშვილი.

სავალალოდ, თეონა თავის ორ მცირეწლოვან შვილთან ერთად დაიღუპა.

გელა მანქანაში მსხდომ კიდევ ორ ადამიანთან ერთად კი გადარჩა, მაგრამ...

სამართალდამცავთა თქმით, ავარია გადაჭარბებული სიჩქარის ბრალია, რის გამოც მძღოლმა საჭე ვერ დაიმორჩილა...

გუშინ სალამოსთვის ერთი დაღუპული ბავშვის ცხედარი კიდევ არ იყო ნაპოვნი...

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქცია გულისტკივილით თანაუგრძნობს ყველა დაღუპულის ოჯახსა და ახლობლებს.

◉ მწერლის გულისთქმა

# ერთა-ადა, ძმებო, ერთა-ადა!..



## უწმინდესსა და უნეტარესს, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს, მამასა და მეუფეს ილია II-ეს

სამღვდელო დიაკონისა და ქართველი მწერლის – მამა ელიოზისგან

„გული-გულს იცნობს და ღონე-ღონეს"...
ილია ჭავჭავაძე.
„კაკო ყაჩაღი"

თქვენს ერთ-ერთ შეხვედრაზე, წირვა-ლოცვის შემდეგ, რა თქმა უნდა, სამარხვო ტრაპეზით რომ გაგვიმასპინძლდით და მამაშვილურად, კეთილად, გულთბილად მოგვეფერეთ, გავბედე და ერთი ჩემი საყვარელი, ძველი ლექსი, ხმამაღლა წაგიკითხეთ... ფრაგმენტს შეგახსენებთ:

„თითებზე აგვინთია სიტყვა — ერის სინათლე,
მე თუ მიწად გინდივარ, აღარც შენ არ ივარგებ...
. . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . .
სინათლეში დამითმე საფლავზე მოსასვლელი,
ძმაო, ორი-სამი დღე, თითზე ჩამოსათვლელი!"



ლექსი ოცდაათიოდე წლის წინათ გახლავთ დაწერილი, დაბეჭდილიც, მცირედი ყოყმანის შემდეგ 1986 წელს კი წიგნადაც გამომიცია ცნობილი ქართველის (დიდი ქართველისძ და შესანიშნავი პოეტის, ცხონებული მორის ფოცხიშვილის რედაქტორობით: „ავტორის მიზანია, შეეხმიანოს ჩვენი დროის სოციალურ და ზნეობრივ პრობლემებს, წარმოაჩინოს თავისი მოქალაქეობრივი პოზიციაო" — ბრძანებდა ბატონი მორისი წინასიტყვაობაში. თქვენი წირვა-ლოცვის ხშირი მონაწილე გხლებივართ თქვენს მამაშვილურ ტრაპეზზეც. ერთხელაც, სრულად რომ წაიკითხეთ ეს ჩემი ლექსი — „სიმღერა" — ცოტა ნაღვლიანად წერთო, მამა ელიოზ, მითხარით.

გადაჭარბებით დატვირთული ხართ თქვენო უწმინდესობავ, ქვეყანამ იცის, მე რაღა დავუმატო... წავიდა, ხვთის წყალობით, თბილისის ეპისკოპოსი ავალიშვილი-მროველის დრო, ლამით, ბრძოლის წინ, ხმალს რომ ლესავდა თავის კარავში. მებრძოლმა (უბრალო მეომარმაძ თავი შეყო და მეუფეს ზიარება სთხოვა. „შვილო, წადი, ჩემს მეტი ვერავინ ნახე? რამდენი მღვდელი ფხიზლობს და იმათ მიმართე, მე ხვალ ყველას ერთად გაკურთხებთ და ამ ორლესული მახვილითაც გაგიძღვებითო წინ", — უარით გაისტუმრა მროველმა გაბედული მეომარი და ხმლის ლესვა განაგრძო.

„ქართლის ცხოვრების მატიანეში" წერია ჭეშმარიტად მრავალმხრივ საკვირველი ეპისკოპოსის ბრძოლისწინა გაკვრით გაბაასება. მოგეხსენებათ, სულიერი მამის დაუსწრებლად ბრძოლა არ იმართებოდა. ცისკარზე დალოცვა და ზედაც ხმლის მიყოლება ორმაგად სჭრიდა ბრძოლის ველზე... ახლა, მოგეხსენებათ, სხვა დროა, უწმინდესო და უნეტარესო, სხვა დროა, ყველას მოეხსენება, მაგრამ სამოცდათექვსმეტი წლის ქართველი მწერალი, დრამატურგი, ჩემი „თეთრი ქარავნის" მონაწილე და სხვა დანარჩენის თვალწინ, ქარიშხლის სცენის გადაღებისას, ცოცხალ-მკვდარი, თავის ქალას ფუძის მოტეხილობით ვეგდე აეროპორტის ბეტონის ფიქალზე. მერე კი საავადმყოფოს რკინის საწოლზე დაბმული ვიყავი, ფანჯრიდან რომ არ გადმოვხტომოდი მკურნალი ექიმების დასტას და შარში არ გამეხვია ისინი... მოკლედ, გადავრჩი, გამოვძვერი და ისევ თქვენს კალთას შემოვეფარე. 76 წლის შემოქმედს, მწერალ კაცს, ისევ თქვენ მაძლევთ სიცოცხლის სარჩოს. მრცხვენია, მაგრამ ვის დავუმალო რომ თქვენით ვარსებობ... სხვა რაღა მოგახსენოთ, ასლარიანი მწერლის სიცოცხლე რა სიცოცხლე იქნებოდა, თქვენ რომ დროდადრო არ მეხმარებოდეთ...

სიკვდილამდე ვის მოუკლავს თავი კაცსა გონიერსაო, ბრძენი ქართველის ნათქვამი გახლავთ... მეტისმეტად გამიგრძელდა და გამეჭიმა სათქმელი, ჩემი სიცოცხლესავით... ჩვენო მკითხველო, ჩვენო მსმენელო და თვალის დამჭერო... ერთად ჩავბეროთ ჩვენი სიცოცხლის საყვირს, ჩავაქვითკიროთ, ჩავადუღაბოთ წუთისოფელი, ჩვენი რაკი, ვაჟასი არ იყოს: „მაინც კი ლამაზი არის, მაინც სიტურფით ჰყვავისაო"... ერთა-ადა, ძმებო, ერთა-ადა!

მერაბ ელიოზიშვილი,
2010, ივლისი, თბილისი.

◉ კონსტიტუცია

# პრეზიდენტის მორიგი სიცრუე და ხალხის „დაბოლების" მცდელობა

## მიხეილ სააკაშვილს ვენეციის კომისია თავისი კუდი ხომ არ ჰგონია?

**გსურთ იხილოთ მიხეილ სააკაშვილი ძლევამოსილ პრემიერ-მინისტრად? — ამის აბსოლუტურ გარანტიას ახალი კონსტიტუცია იძლევა. და რა შანსია იმისა, რომ ეს არ მოხდეს? — თითქმის არავითარი. თითქმის, იმიტომ, რომ არის ერთადერთი გზა — ოპოზიციური პარტიები უფრო ფხიზლად იყვნენ და რეალურად შეხედონ იმ პოლიტიკურ საშიშროებას, რასაც საკონსტიტუციო ცვლილებები ისხავს მიზნად; მათ საზაფხულო არდადეგებისთვის დრო არ უნდა რჩებოდეთ, და ხალხის თანადგომის იმედად იბრძოლონ იმისთვის, რომ ხელისუფლებამ ჩაფიქრებული სურვილების ფრთაშესხმა ვერ შეძლოს.**

გუშინ, საზოგადოებრივი საკონსტიტუციო კომისია კიდევ ერთხელ შეიკრიბა და ის შენიშვნები გამოაქვეყნა, რომლებიც სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიამ პროექტის სახით დაამტკიცა, საქართველოს პრეზიდენტს გააცნო და ახლა მას პარლამენტი გადასინჯავს.

პრეზიდენტმა ისევ იცრუა, როდესაც საზოგადოებას „გაუმხილა", საკონსტიტუციო ცვლილებების ვარიანტი ვენეციის კომისიამ მოიწონაო. არადა, როგორც სპეციალისტები ამბობენ, საბოლოო დასკვნა ამ კომისიას ჯერ არც გამოუქვეყნებია, ამიტომ ერთმნიშვნელოვნად თქმა იმისა, რომ ევროპელი ექსპერტები ქართულ ვარიანტს იწონებენ, ტყუილია.

მინდია უგრეხელიძემ სათითაოდ ჩამოაყალიბა ის შენიშვნები, რომლებიც საზოგადოებრივ საკონსტიტუციო კომისიას აქვს. საკანონმდებლო ორგანო ისეთივე უუფლებო რჩება, როგორიც დღესაა. პარლამენტის დათხოვნის საბაბი შეიძლება იყოს ბიუჯეტის დაუმტკიცებლობა, მთავრობისთვის უნდობლობის გამოცხადება. ამით საშინაო და საგარეო პოლიტიკის განსაზღვრისა და განხორციელების შესაძლებლობა ეზღუდება.

პოლიტიკური ოპოზიცია და საზოგადოება კვლავ კონსტიტუციური ბერკეტების გარეშე რჩებიან და ვერავითარ კონტროლს ვერ გაუწევენ მთავრობას. საგამოძიებო ან სხვა დროებითი კომისიის შექმნა მხოლოდ საპარლამენტო უმრავლესობის ნებაზეა დამოკიდებული. საერთოდ არაფერია ნათქვამი სამართლიანი საარჩევნო გარემოს შექმნაზე (არადა პოლიტიკური ოპოზიციური ელიტა სწორედ ამაზე ამყარებს დიდ იმედს და მომავალ არჩევნებში გამარჯვების შანსს ისახავს **(თ.მ.ძ.**

ახალი ცვლილებებით გუბერნატორის თანამდებობა კვლავ დანიშვნადია და ახალი ცნება შემოდის „რწმუნებული გუბერნატორი". ამიერიდან გუბერნატორს ძლევამოსილი პრემიერ-მინისტრი დანიშნავს და მათი უფლებამოსილება განისაზღვრება კანონით, რომლის მიღებაც ახალი პროექტის მიხედვით ძალზედ გამარტივებულია.

მინდია უგრეხელიძე განსაკუთრებით იმით არის აღშფოთებული, რომ კანონთა იერარქიაში საერთოდ გაუქმებულია უაღრესად მნიშვნელოვანი — ორგანული კანონის კატეგორია, რომელიც უმნიშვნელოვანეს შემთხვევებში გამოიყენება და შესაბამისად ხმათა მაღალ კვორუმს მოითხოვს.

**ორგანული კანონით ხდება ორგანიზაციული საკითხების გადაწყვეტა, ის ქმნის ქვეყნის საორგანიზაციო პოლიტიკას, ამ დროს მოულოდნელად აღმოვაჩინეთ, რომ ორგანული კანონის ცნება საერთოდ გაუქმებულია, ხოლო 150 დეპუტატიდან 51 დეპუტატს შეუძლია მარტივად მიიღოს კანონი, ორგანული კანონის გარეშე",** — ამბობს მინდია უგრეხელიძე.

საქართველოს მინისტრი შეიძლება იყოს სხვა ქვეყნის მოქალაქე, რაც საზოგადოებრივი საკონსტიტუციო კომისიის წევრთა აზრით დაუშვებელია. და არანაკლებ მნიშვნელოვანი საკითხი — უმაღლესი თანამდებობის პირთა იმპიჩმენტის წესით თანამდებობიდან გადაყენება ფაქტობრივად არარად არის ქცეული. პარლამენტის უფლებამოსილების დამაბალანსებელი არის იმპიჩმენტის საკითხი. არადა ახალი ცვლილებებით კენჭისყრისათვის კონსტიტუციით განსაზღვრული დრო 2-ჯერ შემცირდა, ხოლო მისი ჩატარება მხოლოდ ერთხელ შეიძლება.

**როცა საუბარია დემოკრატიული ინსტიტუტების მშენებლობაზე და კონსტიტუციის შენების წესზე, ის კიდევ უფრო უნდა გაუმჯობესდეს, ამ დროს კი რა მოხდა ახალი კონსტიტუციით? — თვალთმაქცური ცვლილებები გარეგნულად ერთობ დემოკრატიულობის შთაბეჭდილებას ტოვებს, ხოლო რეალურად ხელში სადავეები აღმასრულებელ ხელისუფლებას უჭირავს, უმთავრესს — პრემიერ-მინისტრს.**

სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიამ იმდენად „კარგად" იმუშავა, რომ პრეზიდენტი სააკაშვილი შეუძლებელია უკმაყოფილო იყოს. სახელმწიფო კომისია მთელი ერთი თვის დაგვიანებით შეიქმნა, მას შემდეგ, რაც საზოგადოებრივმა საკონსტიტუციო კომისიამ თავად გამოხატა ენთუზიაზმი და ქვეყნის უმთავრეს და უმნიშვნელოვანეს დოკუმენტზე — კონსტიტუციაზე დაიწყო მუშაობა. ხელისუფლებამ სასწრაფო წესით შექმნა სახელმწიფო ოფიციალური უწყება და ახლა ასევე დაჩქარებული ტემპით ითხოვს ამ დოკუმენტის მიღებას. უგრეხელიძე ამბობს, რომ დემოკრატია ნიშნავს — საკანონმდებლო ბოჭვად უმრავლესობას, მაგრამ ახალ კონსტიტუციაში ეს ნიუანსი აბსოლუტურად უგულებელყოფილია, მათ შორის უფუნქციოდ არის დარჩენილი საპარლამენტო უმცირესობა.

ეს შეიძლებოდა არც თუ დიდ საშიშროებად მოგვჩვენებოდა, მაგრამ წინასწარვე აშკარაა, რომ ნაციონალები უმრავლესობით მოსვლის შანსს ხელიდან არასოდეს გაუშვებენ, ხოლო როგორც ახალი კონსტიტუცია ითვალისწინებს, უმრავლესობა ირჩევს პრემიერ-მინისტრსაც. როგორც საზოგადოებრივი კომისიის წევრი ვახტანგ ძაბირაძე ამბობს: **„ხელისუფლების გადანაწილების პრინციპული ცვლილება ძალაში 2012 წლიდან შევა, ანუ, იმ პერიოდიდან, როცა სააკაშვილს საპრეზიდენტო ვადა ამოეწურება. ეს პროექტი მას პრემიერ-მინისტრის თანამდებობის დაკავების საშუალებას აძლევს. თანაც ისე, უფლებამოსილება დღეს საღამოს რომ დაუმთავრდება, დილით უკვე პრემიერ-მინისტრის სავარძელში ჩაჯდომა შეუძლია, ხოლო უფლებამოსილების ვადის ამოწურვამდე ცოტა ხნით ადრე, ერთ მშვენიერ დღეს პრეზიდენტობიდან რომ გადადგეს, ორ საათში შეუძლია პრემიერად მოგვევლინოს".**

საკონსტიტუციო ცვლილებების უამრავი ხარვეზის მიუხედავად, შეიძლებოდა ეს ერთი ნიუანსი მაინც აღმოფხვრილიყო. როგორც ვიცით, ლეიბორისტები და თავისუფალი დემოკრატები ითხოვდნენ, კონსტიტუციაში ჩადებულიყო მუხლი, რომლის მიხედვით მოქმედ პრეზიდენტს, საპრეზიდენტო ვადის ამოწურვის შემდეგ პრემიერ-მინისტრად გახდომის უფლება არ ექნებოდა. მაგრამ ავთანდილ დემეტრაშვილმა საკმაოდ „კომპეტენტური და ორიგინალური" პასუხი გასცა: ეს ხომ ადამიანის უფლების დარღვევააო. მაგრამ ნეტა, რომელი უფლება დაირღვევა? იკითხა მინდია უგრეხელიძემ. ეს არის პოლიტიკური უფლებაო, — არის დემეტრაშვილის პასუხი: „როგორ არ შეიძლება შეზღუდო? — ამბობს მინდია უგრეხელიძე, — თუნდაც ის არის შეზღუდვა, რომ მესამე ვადით არ ვირჩევთ პრეზიდენტს და ა. შ. ასეთი სერიოზული ნაკლის პირობებში გონივრული იქნებოდა,



რომ საკანონმდებლო ინიციატივის ავტორს, ანუ პრეზიდენტს, უკანვე გამოეთხოვა მის მიერ წარდგენილი კონსტიტუცია".

**ფაქტია, რომ ეს ასე არ მოხდება. სააკაშვილი ამის გამკეთებელი არ არის, მეტიც, ის, ალბათ, ყველა შესაძლო ბერკეტით ეცდება, პუტინისგან განსხვავებით, სრულიად ლეგიტიმურად და კონსტიტუციურად გახდეს პრემიერ-მინისტრი, მეორე ვადით პრეზიდენტობის ვადის ამოწურვის შემდეგ. ამას ხელს არავინ და არაფერი შეუშლის, მის გუნდში და მისივე პარლამენტში; და ამ დროს სრულიად ბუნებრივად ჩნდება კითხვა — რას ელოდება ოპოზიცია?**

თეა მოსია

პოზიცია

# ავტოკრატია, დიქტატურა და ყველანაირი დაავადება ერთად



**საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა მთავრობის წევრების მისამართით უკმაყოფილება გამოხატა და თქვა, რომ ხელისუფლებაში „კვერის დამკვრელები“ არ სჭირდება. სააკაშვილს მოძრავი, იდეებით და ენთუზიაზმით სავსე მოხელეები უნდა. და ზოგს მიაგნო კიდეც. პრეზიდენტი ეკონომიკის და მდგრადი განვითარების სამინისტროს ახალი მინისტრით ძალიან კმაყოფილია.**

ვერა ქობალია მან ისეთივე სიამაყით წარადგინა, როგორც რამდენიმე თვის წინათ, ქობალიას წინამორბედები. ჩვენ ამჯერადაც უნდა დავიჯეროთ, რომ ახალი მინისტრი სწორედ ის კადრია, რომელმაც ქვეყნის ეკონომიკის აყვავება უნდა შეძლოს.

ტრადიციად ქცეული საკადრო ცვლილებების შემდეგ, ქობალიამ საქართველოში გაბატონებული ერთ-ერთი ნეგატიური ტენდენცია შენიშნა – „ქვეყანაში, რომელშიც ყველა სფერო ფეხზეა დასაყენებელი, ბიზნესმენს 12.00 საათამდე არ უნდა ეძინოს და 9.00 საათზე დანიშნული შეხვედრა მისთვის ძალიან ადრე არ უნდა იყოს.“ სხვათა შორის, ეს შენიშვნა სხვა სფეროებსაც შეიძლება შეეხოს, მაგალითად: საბანკო სექტორს, საჯარო სამსახურებს, სავაჭრო ობიექტებს, სილამაზის სალონებსაც კი და ასე შემდეგ.

როგორც ქობალიამ თქვა, საქართველოში სამსახურის შოვნა გამინისტრებამდეც სცადა და კანადიდან რამდენჯერმე CV-იც კი გამოაგზავნა, მაგრამ არავინ გამოეხმაურა. თუმცა, უფრო მეტი დამაჯერებლობისთვის უინტერესო არ იქნებოდა, ქალბატონ მინისტრს ის სამსახურებიც დაესახელებინა, რომლებმაც მის პერსონას უარი უთხრეს. ეს ისე, სხვათა შორის, მხოლოდ იმისთვის, რომ ამბავი უფრო დამაჯერებლად გამოიყურებოდეს, თორემ ამ ქვეყანაში ადამიანები ისედაც ყველაფერს ადვილად იჯერებენ, რადგან მათ ფიქრი არ შეუძლიათ. და ვისაც ფიქრი არ შეუძლია, ვერც გამოცდილებას იძენს. ისე, თუ ვინმე მაინც შეეცდება და კარგად დაფიქრდება, აუცილებლად გაახსენდება პრეზიდენტისგან რამდენჯერ მოუსმენია, რომ: საჯარო სამსახურში მოხელის დასაქმების საფუძველი პროფესიონალიზმი უნდა იყოს და არა ნათესაურმეგობრული კავშირები. სხვათა შორის, პრეზიდენტის ნათქვამს შეიძლება ერთიც დაემატოს – არც მხოლოდ პარტიული ნიშნით დაწინაურებაა სამართლიანი. თუმცა, სააკაშვილმა განსხვავებული აზრის გამოთქმა და კამათი აკრძალა – „ნურავინ შეეცდება იმის ახსნას, საქმე რატომ არ კეთდება, ასეთი ადამიანების ადგილი ჩემს გვერდით არ არის.“

რა თვისებების მქონე მოხელის ადგილია საქართველოს პრეზიდენტის გვერდით? ყვარელში გამართულმა მთავრობის სხდომამ ნათლად წარმოაჩინა, რომ შუა საუკუნეების იმპერატორს კარის მასხარებიც კი სახალხოდ მიყენებული შეურაცხყოფისთვის ისე არ დაუხრიდნენ თავს, როგორც ეს 21-ე საუკუნის მინისტრებმა შეძლეს.

სხვათა შორის, თუკი „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ ხელისუფლებაში მართლაც ერთი გუნდის წევრები მოვიდნენ, რომლებსაც ღირსეული მიზნები აქვთ, ცუდი არ იქნება პრობლემები კამერების გარეშე მოაგვარონ. ბოლოს და ბოლოს იმავე მინისტრებს სამსახურებში ხელქვეითები ჰყავთ და უფროსს მათ თვალში ღირსება უნდა ჰქონდეს.

ალბათ, არ არსებობს დისციპლინა ეთიკის გარეშე და ცხადია პოლიტიკაც ასევეა. ყვარელში გამართული მთავრობის სხდომა ეთიკის ყველანაირი ნორმის დარღვევის ნიმუში იყო. პრეზიდენტის ქცევის შემდეგ, დაფიქრების და კამათის გარეშეც ნათელია, ქვეყანაში საქმე მართლაც რატომ ვერ კეთდება, სახელმწიფო სამსახურებში პროფესიონალები რატომ ვერ ხვდებიან, ან თუ ხვდებიან, დიდხანს რატომ ვერ ჩერდებიან.

საქართველოში ძალიან მძიმე რეალობაა, რასაც კიდევ უფრო მეტად ის ამძიმებს, რომ ძნელი გასარკვევია წვლილი ვინ როგორ შეიტანოს მის გაუმჯობესებაში. მით უმეტეს, როცა ხელისუფლებას ოპოზიციაც შეკრული და გარიგებული ჰყავს.

**ეკა აბრამიშვილი**

ინფორმაცია

## „ჩვენი არჩევნებით“ ამერიკელები კმაყოფილნი არიან

**„მაისის თვითმმართველობის არჩევნები მნიშვნელოვან ნაბიჯს წარმოადგენს ქართული დემოკრატიის გამყარების პროცესში“, – ნათქვამია ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესის, დემოკრატიის მხარდამჭერი კომისიის ოფიციალურ წერილში. აღნიშნულ წერილში ამერიკელი კონგრესმენები მადლობას უხდიან საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს, დავით ბაქრაძეს საარჩევნო კოდექსზე მომუშავე ჯგუფის შექმნისათვის და ამ პროცესში არასაპარლამენტო ოპოზიციის ჩართულობის ძალისხმევისთვის.**

**– როგორც საქართველოს მეგობრებმა და პარტნიორებმა, ამ წერილის მეშვეობით გვსურს მოგილოცოთ და აღვნიშნოთ თუ რაოდენ დიდი როლი ითამაშეთ თქვენ თქვენს ქვეყანაში თავისუფალი და სამართლიანი ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების ჩატარებაში, – ნათქვამია წერილში, რომელსაც ხელს „დემოკრატიის პარტნიორობის“ თავმჯდომარე, კონგრესმენი დევიდ პრაისი და ასევე კონგრესმენი დევიდ დრაიერი აწერენ.**

**წერილში ასევე საუბარია 2012 წელს დაგეგმილ საპარლამენტო არჩევნებზე, სადაც აღნიშნულია, რომ კონგრესის დემოკრატიული პარტნიორობა გამოთქვამს მზადყოფნას, გაუწიოს მხარდაჭერა საქართველოს პარლამენტს მის ძალისხმევაში, რათა გაგრძელდეს დემოკრატიული ინსტიტუციების გამჭვირვალე და ეფექტური მუშაობის გაუმჯობესება.**

ჯი-ეიჩ-ენი

ვინ-ვის?

# ოპოზიციის მსგავსად ხელისუფლებაც ჩიხშია



***არჩევნების შემდეგ ჩამოყალიბდა თუ არა ქვეყანაში ახალი პოლიტიკური რეალობა, როგორ განვითარდება პროცესები დაქსაქსული ოპოზიციის ფლანგზე, რამდენად სავარაუდოა, რომ ახალი კონსტიტუციის მიღებამ, რომელიც სააკაშვილს გაპრემიერმინისტრების საშუალებას აძლევს, ქვეყანაში დესტაბილიზაცია გამოიწვიოს, „ინტერპრესნიუსი“ ფილოსოფოს ზაზა ფირალიშვილს ესაუბრა.***

**– საკონსტიტუციო კომისიამ კონსტიტუციის პროექტზე მუშაობა დაასრულა და მისი განხილვა უკვე დაწყო. თქვენი აზრით, რამდენად სავარაუდოა ამ პროექტის მიღების შემდეგ სააკაშვილის გაპრემიერმინისტრება, რის შესახებაც ოპოზიციის წარმომადგენლები უკვე კარგა ხანია საუბრობენ?**

– გამორიცხული არაფერია. დიდია იმის ალბათობა, რომ მიხეილ სააკაშვილი ხელისუფლებაში დარჩენაზე იზრუნებს. თავისთავად, ეს არც უკანონოა და არც დანაშაულებრივი. რაც შეეხება მორალურ მხარეს, ვგონებ, ჩვენმა პოლიტიკოსებმა უკვე მიგვაჩვიეს იმ აზრს, რომ არავითარ დანაშაულსა და შეცდომაზე არ აგებენ პასუხს – თუნდაც მხოლოდ პოლიტიკიდან წასვლის ფორმით. მეორეს მხრივ, არც ჩვენ მოვითხოვთ მათგან პასუხს. პოლიტიკური ცხოვრების ეს ბარბაროსული ფორმები ჩვენთვის ჯერაც ბუნებრივია, თუმცა, მაინც მგონია, ისეთი დროც დადგება, როდესაც ჩვენი, საზოგადოების ზეწოლით პოლიტიკოსები იძულებულები იქნებიან, აღიარონ, რომ რაღაც შეიძლება დაუშვებელი იყოს და რომ მხოლოდ ისინი კი აღარ მოინდომებენ ჩვენი განწყობილებებით მანიპულირებას, არამედ ჩვენც ვაიძულებთ, რომ სახელმწიფოებრივი ღირსებისა და სამოქალაქო ინტერესების კატეგორიებით იაზროვნონ.

რაც შეეხება სააკაშვილის გაპრემიერმინისტრებას, მან მოახერხა ის, რასაც პირადად მე არ ველოდი: 2007 წლის შემდეგ დასავლელი პარტნიორებიცა და ჩვენი საზოგადოების რიგითი წევრებიც დაარწმუნა, რომ მას დღეს ალტერნატივა არა ჰყავს. ვიმეორებ: დაგვარწმუნა არა იმაში, რომ მისი მმართველობა სიკეთეა, არამედ იმაში, რომ იგი უმცირესი ბოროტებაა, რომ მისი მმართველობა მსოფლმხედველობრივი და პოლიტიკური ქაოსის ალტერნატივაა. ეს ბევრ ოპოზიციონერსაც ესმის. ასე რომ არ იყოს, სრულიად გაუგებარი იქნებოდა ის შიში, რომელსაც კონსტიტუციის ახალი პროექტის გამო გამოთქვამენ. საქმე მხოლოდ სააკაშვილის ზრახვები არ გახლავთ. საქმე ის პოლიტიკური მდგომარეობაა, რომელშიც იგი იმყოფება და რომელშიც სხვებმა ჩაიყენეს თავი.

**– უდავოა, რომ რამდენიც არ უნდა აპროტესტოს ოპოზიციამ კონსტიტუციის ახალი პროექტი, შეუძლებელია კონსტიტუციაში ჩაიწეროს მუხლი, რომლითაც სააკაშვილს პრემიერ-მინისტრის პოსტის დაკავება აეკრძალება... რამდენად სავარაუდოა, რომ კონსტიტუციის მიღება გახდეს ქვეყანაში მორიგი დესტაბილიზაციის საბაბი და საფუძველი?**

– პასუხი უკვე თქვენს კითხვაში ძევს. სრულიად ვეთანხმები ბატონ ავთანდილ დემეტრაშვილს, რომ კონსტიტუცია არ შეიძლება მოცემული მომენტის პოლიტიკურ კონიუნქტურაზე იქნეს აგებული. ერთმანეთში ნუ ავურევთ: კონსტიტუცია, ცხადია, უნდა გამოდიოდეს მოცემული მომენტის საზოგადოებრივი რეალობიდან, იმიდან, თუ საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი ცხოვრების რა ფორმებს აღიქვამს საზოგადოება, როგორც საკუთარს, როგორც საკუთარი ისტორიული სხეულის ფორმას, მაგრამ არა ისეთი კონკრეტული რეალობებიდან, რომ ვიღაც ცუდია და რომ საგანგებოდ უნდა შემოვიღოთ კანონი, რათა ადამიანებმა ეს ცუდი ვერ აირჩიონ. ამით ხომ ჩვენი ოპოზიციური პოლიტიკური ძალები აღიარებენ, რომ არც საარჩევნო გარემოს შექმნა ძალუძთ და არც პოლიტიკური ბრძოლა. ამ გზას თუ დავადგებით, ყოველ ხუთ წელიწადში ერთხელ მოგვიწევს კონსტიტუციის შეცვლა და ახალი პოლიტიკური რეალობების მიხედვით გადაკეთება. შეიძლება ვცდები, მაგრამ საკითხის ამგვარი დაყენება არ მესმის. ასე საქმე აბსურდამდე შეიძლება მივიდეს.

სხვაგვარად ვიტყვი: კონსტიტუცია, სახელმწიფო ატრიბუტიკის მსგავსად, უმნიშვნელოვანეს სიმბოლოს წარმოადგენს და მისით თამაში სახელმწიფოებრივი ცნობიერების ეროზიას იწვევს. ჩვენ კი ჯერაც ისე ვეთამაშებით კონსტიტუციას, თითქოს იგი მხოლოდ და მხოლოდ კანონთა კარგად ორგანიზებული კრებული იყოს. თუ არ ვცდები, საქართველოში დღეს, სულ მცირე, სამი პარტია არის ისეთი, რომლებიც ხელისუფლებაში მოსვლისთანავე, სააკაშვილის მაგალითისამებრ, გერბისა და დროშის შეცვლას გვპირდებიან. რბილად რომ ვთქვათ, ასეთი დამოკიდებულება არასერიოზულია. ამით ხელვყოფთ არა მხოლოდ ამ სიმბოლოებს, როგორც ასეთს, არამედ კიდევ უფრო მნიშვნელოვანს – სახელმწიფოებრივ ცნობიერებას.

რაც შეეხება დესტაბილიზაციას, ეჭვი მეპარება, ეს მოხდეს. დღევანდელი პოლიტიკური აქტორები, მიუხედავად სურვილისა, ვერ მოახერხებენ ამას. ოპოზიციამ განვლილი 2-3 წლის განმავლობაში მნიშვნელოვანწილად ამოწურა თავისი რესურსები.

**– ბატონო ზაზა, როგორ შეაფასებდით ადგილობრივი არჩევნების შემდეგ შიდაპოლიტიკურ ვითარებას? რამდენად გამართლდა ექსპერტთა ერთი ნაწილის შეფასება იმის შესახებ, რომ არჩევნების შემდეგ ქვეყანაში ახალი პოლიტიკური რეალობა ჩამოყალიბდებოდა?**

– ახალი პოლიტიკური რეალობა რომ ჩამოყალიბდა, ეს ცხადია. წმინდა პოლიტიკური თვალსაზრისით მე ამას ჩიხს ვუწოდებდი. ჩიხშია ოპოზიცია, რომელსაც, მიუხედავად მრავალგზისი დაპირებებისა, მოქმედების სტრატეგია ვერ შეუმუშავებია. ჩიხშია ხელისუფლება, რომელიც მუდმივად გრძნობს საზოგადოებრივი ნდობის დეფიციტს და ზოგჯერ აშკარად ჰკარგავს წონასწორობას. პრეზიდენტი სააკაშვილის ბოლო გამოსვლა და მისი აგრესია მთავრობის წევრების მიმართ ამის აშკარა მაგალითია. ამას მე სტაგნაციას ვუწოდებდი. თუმცა კი, ამ სტაგნაციას სრულიად პოზიტიური საფუძველი აქვს: საზოგადოებამ თავისი განვითარებით მკვეთრად გაუსწრო პოლიტიკურ კლასს და მისგან ქცევის ახალ ფორმატს ელის. პოლიტიკური ცხოვრების ამგვარი მარგინალიზაცია უკვე 2008 წლიდან იგრძნობოდა და ახლა მან თავისი თითქმის ყველა კონტური შეიძინა.

იხ. 4 გვ.

ვინ-ვის?

# ოპოზიციის მსგავსად ხელისუფლებაც ჩიხშია

(მესამე გვერდიდან)

**— არჩევნების შემდეგ ოპოზიციური ფლანგი საგრძნობლად დაიქსაქსა. ნაწილი საერთო-სახალხო კრებისთვის ემზადება, მეორე ნაწილი ახალი ქართული იდეის შექმნა-ჩამოყალიბებით დაკავდა, მესამე ნაწილი შემოდგომიდან კვლავ აპირებს ვადამდელი საპრეზიდენტო და საპარლამენტო არჩევნების საკითხის დაყენებას. თქვენი აზრით, რა პოლიტიკური პერსპექტივა აქვს ოპოზიციის ამ სხვადასხვა ჯგუფებს?**



— ერთ-ერთი ყველაზე ცუდი, რაც ჩვენს პოლიტიკურ ცხოვრებაში ხდება, ცნებებისა და იდეების ცვეთაა ისე, რომ მათ არც არაფერი მოაქვთ. საერთო-სახალხო კრება, ახალი ეროვნული იდეა, ვადამდელი საპარლამენტო და საპრეზიდენტო არჩევნები, ქვეყნის სინგაპურიზაცია და კიდევ მრავალი რამ არაფერს ეუბნება ადამიანებს. ისეთი გრძნობა მაქვს, რომ ჩვენი ბევრი პოლიტიკოსი ამ მომხიბლავი, მაგრამ მათ ხელში უსიცოცხლო იდეებით ცდილობს კომუფლირებას და პოლიტიკური ენერგიის შექმნას. ცუდია, როდესაც სასაზღვრო სიტუაციაში არ გამოჩნდება პერსონა ან პერსონათა ჯგუფი, რომლებიც შეძლებენ პოლიტიკური მოძრაობის ორგანიზებას და საპროტესტო მუხტის დაჯგუფებას საკუთარი თავის გარშემო. 2003 წელს ასეთი რამ მოხდა და ამას ხელი შეუწყო თუნდაც იმ გარემოებამ, რომ არსებობდა ავტორიტეტულ პოლიტიკურ ლიდერთა ჯგუფი, რომლებსაც საზოგადოების დიდი ნაწილი — ჩემი აზრით, გადაჭარბებული — იმედით უცქერდა. ამგვარი ჯგუფი დღეს ჯერ არ არსებობს. მის გაჩენამდე კი საეჭვო იქნება საერთო-სახალხო კრების ლეგიტიმურობა, თუნდაც გამუდმებით ვიშველიებდე ცნებას „წარმომადგენლობითი“, გაუგებარი იქნება, რას ნიშნავს ახალი ეროვნული იდეა, რადგან, ვფიქრობ, ლაპარაკი შეიძლება ეროვნულ იდეაზე აგებულ „ახალ ეროვნულ პროექტზე“ და არა „ეროვნულ იდეაზე,“ მით უმეტეს ახალზე; მართალი გითხრათ, ყველაზე ბუნდოვანი ჩემთვის ვადამდელი საპარლამენტო და საპრეზიდენტო არჩევნებია. მისი მოთხოვნა, როდესაც პირწმინდად წააგე ადგილობრივი არჩევნები, სრულიად გაუგებარია. გავიხსენოთ ქართული რეალობა და მივხვდებით, რომ არჩევნები წააგო მთელმა ოპოზიციამ და არა ერთმა რომელიმე კონკრეტულმა ძალამ. ვიმეორებ: დღეს ჩვენ გვაკლია ადამიანთა ჯგუფი, რომელიც ყველა ამ იდეას ცოცხალ ძალად აქცევდა და არა პოლიტიკურ კომუფლიაჟად.

**— აშშ-რუსეთისა და დასავლეთ-რუსეთის დაახლოების ფონზე დიპლომატიურმა აქტიურობამ დაგვანახა, რომ საერთაშორისო თანამეგობრობა თბილისს მოსკოვთან დიალოგის დაწყებისაკენ მოუწოდებს. ამ თვალსაზრისით, თქვენი აზრით, რა ნაბიჯები შეიძლება გადადგას ხელისუფლებამ?**

— მე საერთაშორისო ურთიერთობების სპეციალისტი არ გახლავართ, მაგრამ როგორც მეჩვენება, საერთაშორისო თანამეგობრობა ჩვენგან რაღაც განსხვავებულს ელის. ცხადია, ეს არ ნიშნავს კაპიტულაციას ან ტერიტორიების დათმობას. პირველ რიგში, ეს ნიშნავს განსხვავებულ პოლიტიკურ ლინგვისტიკას, ნიშნავს უნარს იმისა, რომ მოძებნო ის პოლიტიკური არსენალი, რომელიც შენ პოლიტიკურად მომგებიან მდგომარეობაში ჩაგაყენებს. ზოგადად კი იგი ელის, როდის შევთავაზებთ მას პოლიტიკური ძალების იმგვარ კონფიგურაციას და ისეთ იდეებს, რომლებსაც რუსეთი შორს ველარ დაიჭერს.

მცირე მეზობელი ხალხისათვის რუსეთთან დიალოგი ურთულესი რამ არის. ბიზანტიური ტრადიციისამებრ რუსეთისათვის მეზობელი მცირე ერი პოტენციური მსხვერპლია და არა პარტნიორი. და მაინც, ვფიქრობ, მაინც შეიძლება მოიძებნოს დიალოგის პოლიტიკური არსენალი, მაინც შეიძლება მოიძებნოს წერტილები, რომელიც მას აღარ მისცემს საშუალებას, უპასუხოდ დატოვოს საერთაშორისო აზრი, ხოლო თუ დატოვებს, ამით თავადვე წააგებს. ვფიქრობ, ჩვენი ხელისუფლების სიხისტენარევი ლაბილურობა, თუ პირიქით, ლაბილურობანარევი სიხისტე მათრახისა და თაფლკვერის პოლიტიკის უადგილო ადგილას გამოყენებას ჰგავს.

არის კიდევ ერთი გარემოება, დასავლეთის ბევრ პოლიტიკურ მოღვაწეს ჩვენი საგარეო პრობლემები მუდმივად ფეხებში ედება და კომფორტს ურღვევს. ამიტომაც, არ გამოვრიცხავ, რომ ისინი მხოლოდ მოხარულები იქნებოდნენ, თუ დათმობებზე წავიდოდით. ამ შემთხვევაში ჩვენი ნება აუცილებელი. თუ დასავლეთი სამართლიანობაზე მონოპოლიას კისრულობს, მან უნდა ზიდოს კიდეც ეს ტვირთი — თუნდაც საკუთარი კომფორტის საზარალოდ.

**კობა ბენდელიანი**

შეხვედრა

# უბის წიგნაკი პოლიციელებისთვის...

**სახალხო დამცველის, სახალხო დამცველის აპარატის ბავშვისა და ქალის უფლებათა ცენტრის ორგანიზებითა და გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) მხარდაჭერით გაიმართა შეხვედრა ოჯახური ძალადობის თემაზე.**

შეხვედრაში მონაწილეობდნენ სახალხო დამცველის ოფისთან არსებული ეთნიკურ და რელიგიურ უმცირესობათა საბჭოებისა და ოჯახური ძალადობის თემაზე მომუშავე სახელმწიფო უწყებებისა და უფლებადამცველი ორგანიზაციების წარმომადგენლები.

შეხვედრის მიზანი იყო ოჯახური ძალადობის ფენომენის განხილვა სხვადასხვა ეთნიკურ თუ რელიგიურ საზოგადოებაში, კულტურათა ზეგავლენა ოჯახური ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების სტრატეგიაზე, ოჯახური ძალადობის დასამარცხებლად საზოგადოების გააქტიურების ეფექტიანი სტრატეგიების დასახვა.

სახალხო დამცველმა აღნიშნა, რომ სახალხო დამცველის აპარატი, 2010 წლიდან, გაეროს ქალთა ფონდის მხარდაჭერით, გაძლიერებულად მუშაობს ქალთა უფლებების დასაცავად, მათ შორის ოჯახური ძალადობის მსხვერპლთა დაცვის ზედამხედველობაზე. მნიშვნელოვანია, რომ ზუსტად ერთი კვირის წინათ, ბავშვისა და ქალის უფლებების ცენტრის ჩართულობით, შეიქმნა დოკუმენტი „უბის წიგნაკი პოლიციელებისთვის ოჯახში ძალადობის საკითხებზე“.

სახალხო დამცველის აპარატი ასევე აქტიურად მონაწილეობს გენდერული თანასწორობის 2010- 2013 წლების ეროვნული სამოქმედო გეგმის შემუშავებაში. თუმცა, როგორც გიორგი ტუღუშმა აღნიშნა, მუშაობის ყველაზე კარგი ინდიკატორი ალბათ ის არის, რომ უამრავი ქალი ძალიან ხშირად პირველად სწორედ სახალხო დამცველის ოფისში მიდის ოჯახური ძალადობისგან თავდასაცავად.

შეხვედრაზე ოჯახური ძალადობის შემცველი რეალური ფაქტები (შეცვლილი სახელებითა და ადგილებით) განიხილეს.

სახელმწიფო უწყებების წარმომადგენლებმა იმსჯელეს მსხვერპლთა დაცვის კონკრეტულ მექანიზმებზე და ამ მექანიზმების ეფექტიანობაზე სხვადასხვა მიკროსოციუმის რეალობაში.

**ნატა ნიბლაძე.**



ინფორმაცია

## „ფორუმი“ ხალხში გადის

**აგვისტოს შუა რიცხვებიდან „ეროვნული ფორუმი“ მოსახლეობასთან შეხვედრებს დაიწყებს.**

**ამის შესახებ გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე პარტიის ერთ-ერთმა ლიდერმა ირაკლი მელაშვილმა განაცხადა.**

**— ჩვენ ყველანაირი სცენარისთვის უნდა მოვემზადოთ. ამიტომ აგვისტოს შუა რიცხვებიდან როგორც თბილისში, ასევე რეგიონებში მოსახლეობასთან შეხვედრებს დავიწყებთ და იმ ინიციატივებს გავაცნოთ, რომელიც ქვეყანაში საარჩევნო გარემოს გასაუმჯობესებლად არის აუცილებელი, — განაცხადა მელაშვილმა.**

**მისივე თქმით, „ეროვნული ფორუმი“ ყველა სახის სცენარისთვის არის მზად, როგორც ხელისუფლებასთან და სხვა ოპოზიციასთან ერთად მოლაპარაკების მაგიდასთან დასაჯდომად, ასევე საზოგადოების უფლების სხვა გზებით დასაცავადაც.**



ჯი-ეიჩ-ენი

არალეგალური ბიზნესი

# ვისი ჩრდილოვანი ეკონომიკა „ჯობია“?

**სულ ახლახან მსოფლიო ბანკის ექსპერტებმა 1999-2007 წლებში 151 ქვეყნის ეკონომიკაში არალეგალური ბიზნესი, ანუ ჩრდილოვანი ეკონომიკის დონე შეისწავლეს და წარმოიდგინეთ, რომ საქართველოს ამგვარი ფარული, ჩრდილოვანი, არალეგალური ბიზნესის ყველაზე დიდი ხვედრი წილი აღმოაჩნდა: ამ მაჩვენებლით იგი 151 ქვეყანას თავში მოექცა(!!!), მისი მთლიანი შიდა პროდუქტის 68,8 პროცენტი ჩრდილოვანი ეკონომიკის სექტორშია მოქცეული. მომდევნო ადგილი ბოლივიას ერგო (68,1%), მესამე — აზერბაიჯანს (63,3%).**

**მაშასადამე, ეს იმაზე მეტყველებს, რომ საქართველოში სახელმწიფო დაბეგვრის არეალშია მოქცეული ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტის მხოლოდ 31,2 პროცენტი, ბოლივიაში — 31,9 პროცენტი, აზერბაიჯანში კი — 36,7 პროცენტი.**

რა თქმა უნდა, ეს იმას არ ნიშნავს, რომ ეკონომიკის დარჩენილი (ჩრდილოვანი) სექტორი გადასახადებისაგან სრულიად თავისუფალია! ცხადია, არა. ჩრდილოვანი ბიზნესი გარკვეულ „გასამრჯელოს“ უხდის თავიანთ მფარველებსა და ლობისტებს ხელისუფლებაში, საგადასახადო სამსახურის ჩინოვნიკებს და სხვა უფრო წვრილფეხა ხელშემწყობთ, რომლებიც „ჩრდილში“ მათ საქმიანობას უზრუნველყოფენ. მაგრამ მთელი ამ „ელიტისა“ და მათ მიმყოლთა შენახვა ბიზნესს მაინც გაცილებით იაფი უჯდება. ასე რომ არ იყოს, „ჩრდილში“ ყოფნას აზრი დაეკარგებოდა.

გამოკვლეულ 151 სახელმწიფოს ზემოთ მოტანილ რეიტინგში რუსეთს 130-ე (48,6%), უკრაინას — 145-ე (54,9%) და ბელორუსიას — 136-ე (49,8%) პოზიციები უჭირავთ.

არალეგალური ბიზნესის ყველაზე დაბალი დონე აღმოაჩნდათ შვეციას (მთლიანი შიდა პროდუქტის 8,6%), აშშ-ს (8,8%) და ავსტრიას (9,8%). შედარებით უმნიშვნელო მოცულობის ჩრდილოვანი ეკონომიკა აქვთ ლუქსემბურგს, იაპონიას, დიდ ბრიტანეთს, ნიდერლანდს, სინგაპურსა და ჩინეთს. აღმოსავლეთ ევროპაში ასევე საყურადღებოა სლოვაკიის, ჩეხეთისა და უნგრეთის „სუფთა“ ეკონომიკები. ევროპის ქვეყნებიდან არალეგალური ბიზნესი ჰყავავის ბალტიისპირეთში: ლატვიაში ჩრდილოვანი ეკონომიკის ხვედრი წილი მთლიანი შიდა პროდუქტის 41,6%-ს აღწევს (109-ე ადგილი), ესტონეთში — 40,3%-ს (102-ე ადგილი), ლიტვაში — 31,9%-ს (64-ე ადგილი).

საერთოდ კი, მთელს მსოფლიოში ჩრდილოვანი ეკონომიკა, სამწუხაროდ, ზრდის ტენდენციას ამჟღავნებს: თუ 1997 წელს იგი მსოფლიოს შიდა პროდუქტის 32,9 %-ს აღწევდა, 2007 წელს 35,5%-მდე გაიზარდა. ამასთან, არალეგალური ბიზნესის ხვედრი წილის შემცირება მხოლოდ 11 ქვეყანაშია დაფიქსირებული.

**საინტერნეტო „Газета.Ру“-დან მოამზადა ამირან გაბისონიამ**

***კომენტარის ნაცვლად:** ამდენი ხმაურის, ურიცხვ საჩვენებელ დაკავება—გაძევებათა და სხვა წვრილმან „გატარებული უმკაცრესი ზომების“ შემდეგ ნამდვილად არ მეგონა თუ 1999—2007 წლების მონაცემებით საქართველოში ჩრდილოვანი (დაუბეგრავი) ეკონომიკის მოცულობა და ხვედრი წილი თითქმის შევარდნაძისდროინდელ დონეს გადააჭარბებდა!*

*ამ ინფორმაციაში საქართველოს შესახებ მოყვანილი მონაცემები თუ სინამდვილეს შეეფერება (არადა, იგი ღია საინტერნეტო მედიიდანაა აღებული), მაშინ უნდა დავასკვნათ, რომ საქართველოს ეკონომიკა ჯერჯერობით ინტენსიურად და წარმატებით ფუნქციონირებს მხოლოდ მოქალაქეთა მცირე ჯგუფის ხელში კოლოსალური სიმდიდრის დაგროვებისა და დანარჩენთა კიდევ უფრო გაღატაკების მიმართულებით, რაც ქვეყანას დაღუპვამდე მიიყვანს!*

*ა. გ.*

**აქტუალური თემა**

*2013 წელს საქართველოს ახალი შემოვლითი რკინიგზა ექნება. პროექტი, რომელსაც ხელისუფლება „21-ე საუკუნის პროექტად“ აფასებს, 170 მლნ ევრო ჯდება, რისთვისაც 100 მლნ ევრო „საქართველოს რკინიგზას“ ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკმა სესხის სახით გამოუყო, ხოლო 70 მლნ ევროს თავად შპს „საქართველოს რკინიგზა“ დაფარავს.*

*უკვე ცნობილია, რომ პროექტს ტენდერში გამარჯვებული ქართულ-ჩინური კონსორციუმის წარმომადგენელი საქართველოში, სააქციო საზოგადოება „ხიდმშენი“ განახორციელებს. სარკინიგზო ხაზის მშენებლობას საფუძველი საზეიმო ვითარებაში მიმდინარე წლის 25 მაისს, ლილოს ტერიტორიაზე, თბილისის მერმა გიგი უგულავამ და შპს „საქართველოს რკინიგზის“ გენერალურმა დირექტორმა ირაკლი ეზუგბაიამ ჩაუყარეს. თუმცა, როგორც „პირველს“ რამდენიმე დღის წინათ რკინიგზაში განუცხადეს, ამ ეტაპზე ტენდერში გამარჯვებული კომპანიის მიერ სამშენებლო პროექტის მომზადება მიმდინარეობს და პროექტის მშენებლობა, სავარაუდოდ, სექტემბრის ბოლოდან დაიწყება.*

*როგორც ჩანს, 25 მაისს მშენებლობისთვის საფუძვლის ჩაყრა მხოლოდ წინასაარჩევნო პიარის ნაწილი იყო, რეალურად კი მშენებლობა მხოლოდ სექტემბერში დაიწყება. თუმცა ეს არ არის ერთადერთი გაურკვევლობა, რაც თბილისის შემოვლითი რკინიგზის პროექტთან დაკავშირებით არსებობს.*

*დღემდე გაურკვეველია, რა ბედი ელით იმ ადამიანებს, რომელთა საცხოვრებელ ტერიტორიაზე სარკინიგზო ხაზმა უნდა გაიაროს. როგორც რკინიგზაში განმარტავენ, მოსახლეობა კომპენსაციის სახით გარკვეულ თანხას მიიღებს, მაგრამ რამდენი ოჯახის გასახლება გახდება საჭირო და რა თანხას მიიღებენ ისინი, რკინიგზაში ვერ აკონკრეტებენ.*

*„პროექტის მშენებლობის დროს, მოსახლეობისთვის შესაბამისი კომპენსაციის გადახდის შემდეგ მათი განსახლებაა გათვალისწინებული. მათთვის საკომპენსაციო ღირებულება შეფასების შედეგად ექსპერტიზის მიერ დადგინდება. ამჟამად კი, განსახლების სამოქმედო გეგმის განხორციელება მიმდინარეობს, რომელიც 2010 წლის ბოლოს დასრულდება“, — განუცხადეს „პირველს“ „საქართველოს რკინიგზაში“.*

*რკინიგზაში პასუხი არც იმაზე აქვთ, თუ რამდენი ადამიანი დასაქმდება მშენებლობის პროცესში, მაგრამ ამტკიცებენ, რომ ტენდერში გამარჯვებულ ქართულ-ჩინურ კონსორციუმთან გაფორმებული მემორანდუმის საფუძველზე, მშენებლობაზე ძირითადად ქართველი მუშახელი დასაქმდება.*

*საზოგადოებაში ძალიან ბევრი კითხვა არსებობს იმასთან დაკავშირებითაც, თუ ვინ და რამდენად ხარისხიანად ჩაატარა პროექტის გარემოზე შეფასების კვლევა.*

*აღნიშნულთან დაკავშირებით, „საქართველოს რკინიგზაში“ აცხადებენ, რომ გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში კომპანიების „ქუტიძე, დამენია, ჩანტლაძე სოლუშენის“ (GDC შოლუტიონს), კავკასიის გარემოსდაცვითი არასამთავრობო ორგანიზაციების ქსელის (CENN) და მიწის მესაკუთრეთა დაცვის ასოციაციის (APLR) კონსორციუმის მიერ მომზადდა. რა გამოცდილება აქვთ აღნიშნულ კომპანიებს და რამდენად კვალიფიციური დასკვნა დადეს მათ, რკინიგზაში ამ კითხვაზე პასუხი არ აქვთ.*

*როგორც ცნობლია, შემოვლითი რკინიგზის მშენებლობისთვის ევროპის განვითარებისა და რეკონსტრუქციის ბანკისგან ვალად აღებული 100 მლნ ევრო „საქართველოს რკინიგზამ“ ცხრა წელიწადში უნდა დაფაროს. ეზუგბაიას უწყებაში სესხის საპროცენტო განაკვეთის შესახებ ინფორმაციის გაცემისგან თავს იკავებენ. „მხოლოდ იმის თქმა შეგვიძლია, რომ სესხის დაფარვა წელიწადში ორჯერ, ცხრა წლის განმავლობაში მოხდება“.*

*ამასთან, კომპანიაში ამტკიცებენ, რომ იმ შემთხვევაში, თუ „საქართველოს რკინიგზამ“ ევრობანკისგან აღებული კრედიტის დაფარვა ვერ შეძლო, მიუხედავად იმისა, რომ რკინიგზა სახელმწიფო ობიექტია, მთავრობას მის ნაცვლად ვალის დაფარვა არ მოუწევს.*

*როგორც გაირკვა, თბილისის შემოვლითი რკინიგზის პროექტთან და მის განხორციელებასთან დაკავშირებით უამრავი პასუხგაუცემელი კითხვა არსებობს. „პირველი“ აღნიშნულთან დაკავშირებით საქართველოს გარემოს დაცვის ყოფილ მინისტრს და არასამთავრობო ორგანიზაცია „მწვანეთა მოძრაობის“ თავმჯდომარეს ნინო ჩხობაძეს ესაუბრა.*

# „საქართველოს რკინიგზას ბევრად უფრო ადრე გაასხვისებენ, ვიდრე ეს ჩვენ წარმოგვიდგენია“

## „სახელმწიფომ ევრობანკისგან მიღებულ 100 მლნ ევროს ოდენობის სესხს 250 მლნ ევროს ოდენობის ობლიგაციები დაამატა, რაც დამატებითი სესხის აღებას ნიშნავს“

**— შემოვლითი რკინიგზის მშენებლობას საფუძველი უკვე ჩაეყარა. თქვენი შეფასებით, რამდენად ხარისხიანია „საქართველოს რკინიგზის“ მიერ დადებული გარემოზე ზემოქმედების შეფასების დასკვნა?**

— „საქართველოს რკინიგზამ“ რკინიგზის შემოვლითი პროექტისთვის გარემოზე ზემოქმედების შეფასება დადო, მაგრამ საკითხავია, შინაარსობრივად რამდენად სრულყოფილი და ხარისხიანია ეს დასკვნა. მიუხედავად იმისა, რომ ადმინისტრაციული წესით „საქართველოს მწვანეთა მოძრაობა“ გარემოზე ზემოქმედების კვლევის პროცესში ჩართული იყო, გარემოს დაცვის სამინისტრომ ჩვენი მოძრაობა საბოლოო დასკვნაზე არ მიიწვია. მეორეს მხრივ, ის პრობლემები, რომლებიც ჩვენ დავაფიქსირეთ, დღესაც არსებობს, მაგრამ იმასაც ვერ უარვყოფთ, რომ ჩვენი შენიშვნების შედეგად რაღაცები გამოსწორდა. კერძოდ, აღნიშნულ პროექტთან დაკავშირებით, ერთ-ერთ მთავარ პრობლემას ავჭალის ტერიტორიაზე ნაყარის მომზადება წარმოადგენს, რაც ძალიან სათუოა, რადგან არავინ იცის ნაყარზე რკინიგზის ხაზის გავლა რამდენად რენტაბელური იქნება. უპრიანი იქნებოდა ეს ყველაფერი დათვლილიყო და ალტერნატივა მოძებნილიყო, რათა ავჭალის მოსახლეობა გარკვეული საშიშროების წინაშე არ დაეყენებინათ. ერთ-ერთი მძიმე თემა, რომელიც თვითონ გარემოზე ზემოქმედების ანგარიშშია აღნიშნული, არის ის, რომ პროექტის მიხედვით, რკინიგზის ხაზის ერთი მონაკვეთი გლდანის დიდი ტბის ჭარბტენიან ტერიტორიაზე გადის. გარემოზე ზემოქმედების შეფასებაშიც წერია, რომ აქ რკინიგზის ხაზის გატარება დაუშვებელია, თუმცა უცნობია, როგორ გადაწყდა ეს საკითხი. მესამე, ასევე ძალზედ სერიოზული და პრობლემური საკითხი თბილისის ზღვის ტერიტორიაზე სარკინიგზო ხაზის გავლაა. ამიტომ გარემოს ზემოქმედების ანგარიშში არსებული ჩანაწერი, რომ თბილისის ზღვას ავარიდებთ დაბინძურებას, ვფიქრობთ, ბოლომდე გააზრებული არ არის, რადგან სარკინიგზო ხაზმა ზღვის ტერიტორიიდან 900 მეტრში უნდა გაიაროს, რაც ბუნებრივია, ძალზე სარისკოა, რადგან ერთი წვეთი ნავთობის გაჟონვაც კატასტროფის ტოლფასი იქნება. გაურკვეველი რჩება კიდევ ერთი საკითხი — როდის და როგორ მოხდება იმ ტერიტორიის შეფასება, რომელიც რკინიგზის ტერიტორიიდან უნდა ამოირიცხოს. ბოლოს გავრცელებული ინფორმაციით და მგონი მეხსიერება არ მატყუებს, პრეზიდენტმა სააკაშვილმა განაცხადა, რომ აღნიშნული ტერიტორია კი არ ამოირიცხება, არამედ იქ მსუბუქი რკინიგზა გაივლის. თუ ეს ასე იქნება, მაშინ გაუგებარია, რა დანიშნულება ექნება ახალ რკინიგზას?! რაც შეეხება იმას, თუ ვინ განახორციელებს შემოვლითი რკინიგზის მშენებლობას, ვიცით მხოლოდ ის, რომ ტენდერში ჩინეთში დაარსებულმა ქართულ-ჩინურმა კომპანიამ გაიმარჯვა, თუმცა არავინ იცის რამდენად კვალიფიციურია ეს კომპანია და როგორ შეძლებს ევრობანკის პროექტის განხორციელებას. პრობლემა პრობლემად რჩება და პასუხგაუცემელი კითხვებიც ბევრია! დღეისათვის კი, ჩვენი ერთადერთი ამოცანაა, მშენებლობის პროცესს მონიტორინგი გავუწიოთ, მაგრამ რამდენად შეძლებს საზოგადოება ამ მონიტორინგის გაწევას, საკითხავია. მონიტორინგი თავის თავში დამატებით ფინანსურ და ექსპერტულ რესურსს საჭიროებს.

**— რკინიგზის შემოვლითი პროექტის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში მომზადდა „ქუტიძე, დამენია, ჩანტლაძე სოლუშენის“ (GDC შოლუტიონს), კავკასიის გარემოსდაცვითი არასამთავრობო ორგანიზაციების ქსელის (CENN) და მიწის მესაკუთრეთა დაცვის ასოციაციის (APLR) კონსორციუმის მიერ. თუ გსმენიათ აქამდე ამ კომპანიის შესახებ და რამდენად სიღრმისეულია მათ მიერ დადებული დასკვნა?**

— მე რამდენადაც ვიცი, აღნიშნული კომპანია და კიდევ ერთი არასამთავრობო ორგანიზაცია, რომელსაც გარემოზე ზემოქმედების შეფასების დასკვნა უნდა დაედო, სპეციალურად შემოვლითი რკინიგზის პროექტისთვის შეიქმნა. რა თქმა უნდა, კანონმდებლობა მსგავსი რაღაცის გაკეთებას არ კრძალავს, თუმცა გარკვეული კითხვები გაგვიჩნდა იმასთან დაკავშირებით, რომ ზოგადად არასამთავრობო ორგანიზაციები ასეთ სამუშაოებს არ ასრულებენ, რადგან ეს უფრო კომერციული საქმიანობაა და ჩვენ კომპეტენციაში არ შედის. ამდენად, გარემოს დაცვის პირველადი შეფასება ძალიან სუსტი იყო. შემდგომში ის მეტ-ნაკლებად ჩასწორდა, თუმცა გარკვეული საკითხები დღემდე გაურკვეველია.

**— თქვენ მიერ მითითებული შენიშვნებიდან რომელი გაითვალისწინეს?**

— „მწვანეთა მოძრაობას“ შემოვლითი რკინიგზის პროექტთან დაკავშირებით ბევრი შენიშვნა ჰქონდა. გათვალისწინებული იქნა ჩვენი შენიშვნა რეაგირების გეგმის არსებობის შესახებ. ჩვენ გვაჩვენეს ნავთობის დაღვრის შემთხვევაში როგორ შეიძლება კვირი-



კოპის ხევზე პრევენციის გაკეთება და ეს ეხება თბილისის ზღვის ტერიტორიას. თუმცა ჩვენი კონკრეტული წინადადება ავჭალაში ალტერანტივის არსებობისა, არ გაითვალისწინეს, მიუხედავად იმისა, რომ ეს წინადადება მოსახლეობიდან მოდიოდა და სამართლიანი იყო. ასევე, ბოლომდე რა არის სანიაღვრე არხები დათვლილი. პროექტის პირველივე განხილვებიდან ჩვენ გამოვთქვით შეშფოთება, რომ თუ მშენებლობას თანხა დააკლდება, პირველი რაც დაზარალდება, გარემო იქნება, რაც ერთ-ერთი სერიოზული პრობლემაა. პროექტის განმხორციელებლებს გზაში დავაწიეთ ასევე, თუ როგორ უნდა მოგვარდეს ენერგომომარაგების საკითხი. ასევე უკომენტაროდ ვტოვებთ, თუმცა ძალიან გასაკვირია, რომ ახალი რკინიგზის საშუალო სიჩქარე 60-70 კმ/სთ იქნება, რაც ულტრათანამედროვე ნამდვილად არ არის.

**— როგორც ცნობილია, რკინიგზის ხაზი უშუალოდ დასახლებულ პუნქტებზე გაივლის, რაც ბუნებრივია მოსახლეობის გასახლებას და მათთვის კომპენსაციის მიცემას საჭიროებს. გაქვთ თუ არა ინფორმაცია, რომელი უბნის რამდენ მოსახლეზეა საუბარი და რა თანხას მიიღებენ ისინი კომპენსაციის სახით?**

— მოსახლეობისთვის კომპენსაციის მიცემა, ერთ-ერთი პრობლემური საკითხია. რკინიგზაში აცხადებენ, რომ მოსახლეობასთან შეთანხმება მიღწეულია და საკუთარი მიწის ნაკვეთების რეესტრში გატარების შემდეგ, ისინი გარკვეულ კომპენსაციას მიიღებენ, თუმცა აქ თავს ერთი მთავარი პრობლემა იჩენს. კერძოდ, ამ მარშრუტში მოსახლეობის მხოლოდ ის კატეგორია ხვდება, რომელთა საცხოვრებელ მიწებზეც გაივლის სარკინიგზო ხაზი. ისინი კი, ვინც სარკინიგზო ხაზიდან 20-30 მეტრში ცხოვრობენ, კომპენსაციას ვერ მიიღებენ. ეს უსამართლოა. ასევე, რამდენადაც ვიცი, საქართველოს რკინიგზას გარკვეული ვადა მიეცა, რომლის ფარგლებშიც მათ უნდა დაეთვალათ რამდენი ოჯახისთვის მიეცათ კომპენსაცია, რაც გარემოზე ზემოქმედების შეფასების სოციალურ ნაწილს წარმოადგენდა, თუმცა შესაბამის დოკუმენტში ამაზე არაფერია ნათქვამი. როგორც ჩანს, ეს საკითხი დღემდე არაა შესწავლილი. ამასთან, აღსანიშნავია, რომ ახალი რკინიგზისთვის აღებულ კრედიტში მოსახლეობისთვის მისაცემი კომპენსაციის თანხა გათვალისწინებული არაა და მოსახლეობა ან თავად რკინიგზამ ან სახელმწიფომ უნდა დააკმაყოფილოს.

**— პროექტი 170 მლნ ევრო ჯდება, ამ თანხიდან 100 მლნ ევრო ევროპის განვითარების და რეკონსტრუქციის ბანკის სესხია. როგორ ფიქრობთ, სესხის ვერდაფარვის შემთხვევაში, რამდენად არის მოსალოდნელი მისი გასხვისება?**

— აღსანიშნავია, რომ გარემოს დაცვის შეფასების პირველად დასკვნაში პროექტის ღირებულებად 300 მლნ ევრო იყო მითითებული. მოგვიანებით ეს ციფრი 170 მლნ-მდე ჩამოიყვანეს. რაც შეეხება რკინიგზის გასხვისებას, ეს საკითხი შეიძლება ბევრად უფრო ადრე დადგეს, რადგან ევრობანკისგან მიღებულ 100 მლნ ევროს ოდენობის სესხს უკვე დაემატა 250 მლნ ევროს ოდენობის ობლიგაციები, რომელსაც საქართველოს მთავრობა ლონდონის საფონდო ბირჟაზე განათავსებს, რაც ბუნებრივია, დამატებითი სესხის აღებას ნიშნავს. თუ ამას იმ თანხასაც დავუმატებთ, რაც რკინიგზამ მოსახლეობისთვის კომპენსაციის სახით უნდა გასცეს, არ გამიკვირდება, თუ რკინიგზის გასხვისების საკითხი აქტიურად დადგება.

**— თქვენი აზრით, ამ ეტაპზე რამდენად აუცილებელი და საჭირო იყო თბილისის შემოვლითი რკინიგზის მშენებლობა?**

— გარემოს ზემოქმედების შეფასების ანგარიშში ერთი საინტერესო ინფორმაციაა, სადაც აღნიშნულია, რომ დღეს მოქმედი რკინიგზა მისი პოტენციალის მხოლოდ 8 პროცენტითაა დატვირთული. შემოვლითი რკინიგზის მშენებლობას ძირითადად ტვირთბრუნვის გაზრდით ხსნიან, თუმცა რამდენად გაიზრდება ტვირთბრუნვა, ვერ გეტყვით. მსგავსი პროგნოზები არ არსებობს. აღსანიშნავია ისიც, რომ ანგარიშში შემოვლითი რკინიგზის მშენებლობა იმითაც არის ახსნილი, რომ დიდუბიდან სამგორამდე არსებული მონაკვეთი უნდა გათავისუფლდეს, რადგან იქ მცხოვრებ ადამიანებს ხმაური აწუხებთ. თუ მხოლოდ ეს იყო მიზეზი და ახალი რკინიგზის მშენებლობის ეკონომიკური საჭიროება არ გვქონდა, შეგვეძლო უფრო მარტივი გადაწყვეტილება მიგვეღო, ანუ არსებული რკინიგზის რეკონსტრუქცია განგვეხორციელებინა და ხმაურდამცავი ფარები გაგვეკეთებინა, რაც ბევრად ნაკლები დაჯდებოდა.

**— თუ ახალი რკინიგზის მშენებლობის ეკონომიკური საჭიროება არ არსებობდა, როგორ ფიქრობთ, რატომ იხარჯება ასეთი დიდი თანხები მისი მშენებლობისთვის? ხომ არ იყო მიზანი იმ ტერიტორიის გამოთავისუფლება, სადაც დღეს რკინიგზაა?**

— ჩემთვის უცნობია, ვინ შეიძლება იყოს დაინტერესებული გამოთავისუფლებული ტერიტორიით, თუმცა ეს ტერიტორია არ არის იმ ღირებულების, რა ღირებულებაზეც იყო გათვლილი. იქ არსებობს ისტორიული დაბინძურება და ტერიტორია საკმაოდ სერიოზული შესასწავლია. მნიშვნელოვანია, ასევე ნარჩენების პრობლემა. ნიადაგის რეაბილიტაციისთვის მთელი რიგი სამუშაოები უნდა ჩატარდეს, ანუ ეს ნიადაგი არ ვარგა, რადგან რაც საქართველოს რკინიგზა არსებობს, ისე არსებობს ეს მარშრუტი. შესაბამისად, ის არის დაბინძურებული. მსგავსი პრაქტიკა გვაქვს ჩეხეთში, ბულგარეთში, გერმანაში და ევროპის სხვა ქვეყნებშიც, სადაც ადრე არსებული რკინიგზების ტერიტორიის ნელ-ნელა რეაბილიტაცია მოხდა. ამიტომ გამოთავისუფლებული ტერიტორიის რეაბილიტაცია, არანაკლებ ძვირადღირებული სიამოვნებაა, ვიდრე რკინიგზის ახალი ხაზის მშენებლობა.

**— და ბოლოს, როგორ ფიქრობთ, რა არის პროექტის მიზანი? რა სარგებელს მოუტანს შემოვლითი რკინიგზა „საქართველოს რკინიგზას“ და სახელმწიფოს?**

— გავიმეორებ, რომ გარემოს ზემოქმედების შეფასების ანგარიშში ახალი შემოვლითი რკინიგზის მშენებლობა იმითაა დადასტურებული, რომ შუა თბილისში მოსახლეობას ხმაური აწუხებს და ქალაქის ცენტრი უნდა განიტვირთოს. დასკვნაში ეკონომიკურ სარგებელზე არც ერთი სიტყვა არაა ნათქვამი.

**თელარა გელანტია,**
საინფორმაციო სააგენტო „პირველი“



ყოველკვირეული ლიტერატურულ-პუბლიცისტური ჩანართი №170



# მწერლობა და პოლიტიკა

## დავუჯეროთ თუ არა დონალდ რაიფილდის დრამატურგიას?..

**ცნობილმა ინგლისელმა ქართველოლოგმა დონალდ რაიფილდმა, საქართველოს ლიტერატურისა და ხელოვნების სახელმწიფო არქივის მასალებზე დაყრდნობით, 1990 წელს დაწერა პიესა, რომელიც საბჭოთა რეპრესიების ხანას მიუძღვნა.**

**პერსონაჟები რეალური პიროვნებანი არიან, საკუთარი სახელითა და გვარით. არაფერია შეთხზული და დიალოგები დოკუმენტური სიზუსტითაა მოცემული. დასაწყისშივე მითითებულია მასალის საარქივო მისამართი (ფონდი 8, აღწერა 1 და 2).**

**პიესა ინგლისურიდან ქართულად თარგმნა გიორგი სიხარულიძემ. მრავალ მიზეზის გამო, რაც უპირველესად კონკრეტული პერსონალიების რეპუტაციას და პრესტიჟს ეხება, ნაწარმოები არც გამოცემულა და არც დადგმულა.**

**გთავაზობთ, რამდენიმე ფრაგმენტს პიესიდან – ინგლისელი ქართველოლოგის კვლევებზე დაყრდნობილ და მისივე პიროვნულად განცდილი ამბებიდან...**

**როგორც რეპრესირებული „ცისფერყანწელები" წერდნენ, აქ „ჩანს კომენტატორის პირადი პათოსიც".**

**მოქმედი პირნი:**

**დავით დემეტრაძე** – კრიტიკოსი, საქართველოს მწერალთა კავშირის მდივანი;

**ლავრენტი ბერია** – ამიერკავკასიისა და საქართველოს სსრ კპ გენერალური მდივანი;

**პაოლო იაშვილი** – პოეტი, მთარგმნელი, „ცისფერყანწელი";

**კარლო მელაძე** – მჭლაბნელი;

**კონსტანტინე ლორთქიფანიძე** – მთხზველი;

**ტიციან ტაბიძე** – პოეტი, „ცისფერყანწელი";

**კონსტანტინე გამსახურდია** – პროზაიკოსი, „აკადემიკოსი";

**მიხეილ ჯავახიშვილი** – პროზაიკოსი.

ხმები დარბაზიდან.

**მთხრობელი** (როგორც ყოველთვის, თითქმის ჩურჩულით) – დღეს, 1937 წლის 15 მაისს, ამხანაგ ბერიამ თავის მოხსენებაში საგანგებო ყურადღება დაუთმო ლიტერატურას.

**ბერია** (შორიდან) – ზოგიერთი თქვენგანი ისე არ იქცევა, როგორც საბჭოთა მწერალი უნდა იქცეოდეს: მხედველობაში მყავს მიხეილ ჯავახიშვილი და კონსტანტინე გამსახურდია, პოეტები ნიკოლო მიწიშვილი, ტიციან ტაბიძე და პაოლო იაშვილი. ყველა მათგანმა უნდა გადასინჯოს ქართველი ხალხის მტრებთან – ფაშისტ-ემიგრანტებთან დამოკიდებულება, ისეთებთან, როგორნიც არიან ცისფერყანწელთა წრის ლიდერი რობაქიძე, მავნებლებ-დივერსანტებთან, როგორიც ინჟინერი ჯიქია და ბაქტერიოლოგი-მკვლელი გოგი ელიავაა.

ჩვენ ამომწურავ ახსნა-განმარტებას მოვითხოვთ. იაშვილმა უკვე ორმოცს გადააბიჯა: დროა ჭკუას მოუხმოს. კეთილშობილების ნატამალიც არ არის იმაში, რომ იგი ბაქტერიოლოგ ელიავას კლანჭებში მოხვდა. ყველა ამ საზიზღარ უწმინდურთან, პირწავარდნილ, კაცობადაკარგულ ჯაშუშებთან, ბანდიტებთან და მავნებლებთან კონტაქტში იმაზე მეტია შენიღბული, ვიდრე ჩვენ გვეჩვენება. ამ ამხანაგთა შეგნების გარდასაქმნელად აუცილებელი მათგან სრული და გულახდილი აღიარებაა...

მწერალთა კავშირის სხდომათა ოქმები ძირითადად დაგმობასა და მონანიებაზეა აგებული. მწერალთა ყოველდღიურ შეკრებებში არ ჩანს ლიტერატურული ცხოვრება, არამედ რაღაც აბსურდის ჭაობში ჩაფლული აგონიაა. ძირითადად ეს სხდომები ლავრენტი ბერიას ციტატების გარჩევა-განხილვას ემსახურება, რომელიც „ხალხის მტრების" სახეს და ქმედებას ავლენს.

მაგალითად, ბერიამ თქვა: „გამსახურდიამ წინ წაიწია, მაგრამ ეს მოძრაობა სუსტია".

როგორ უნდა წაიკითხონ საბჭოთა ბელადის ციტატის აზრი?

დამთრგუნველია კრებების ატმოსფერო და საერთო სულისკვეთება. მწერლები გამოგონილ ბრალდებებზე თავის მართლებას ცდილობენ, მაგრამ ბერიას ნათქვამი მუდამ უპირობო ჭეშმარიტებადაა მიღებული, რაც იმას ნიშნავს, რომ შეუძლებელია თქვა: ბერია ცდება. ასე რომ, შეუძლებელია ბრალდებათა უარყოფაც...

„მწერალთა კავშირის სხდომებზე თვითგვემა და ორომტრიალი გრძელდება – ჩაუწერია უბის წიგნაკში მიქელ პატარიძეს – სამწუხარო ის არის, რომ ნამდვილი მწერლობა იჭყლიტება მასში"...

გთავაზობთ ვრცელ ფრაგმენტს დონალდო რაიფილდის პიესიდან... იდეოლოგიურ ბრძოლაში პერსონაჟები ერთმანეთთან პირად დამოკიდებულებასაც ამჟღავნებენ... ბრძოლა დაუნდობელია, თვითგადარჩენის ინსტინქტით განწირულია ყველა, ძველი მეგობრებიც კი.

**დემეტრაძე** – მოვუსმინოთ გამსახურდიას გამოსვლას.

**გამსახურდია** – მე იმდენი შეცდომები მაქვს, ყველა რომ ჩამოვთვალო, თავსაც მოგაბეზრებთ, იმან, რაც ამხანაგმა ბერიამ ჩემზე თქვა, მე უფრო გამახარა, ვიდრე ნობელის პრემია გამახარებდა.

და ზუსტად ისე დაიწყო კაკლის ხეთა გასხვლა, როგორც რუსეთში ნაძვებს სხლავენ" (პაუზა, მერე ნერვიული სიცილი. ისევ პაუზა).

**ლოთრქიფანიძე** – ეს სისულელეა.

**გამსახურდია** – პრეზიდიუმს ვთხოვ, დამიცვას უხეშობისაგან, როგორც იგი მომექცა მე, ხოლო მესამე დღეს – ტიციან ტაბიძეს, როცა შესანიშნავ პოეტს ღორი უწოდა. ახლა მეც ასევე მექცევა. ასეთ ვითარებაში მე არ ვილაპარაკებ (ჩადის ტრიბუნიდან).

**ლორთქიფანიძე** – საბჭოთა ხელისუფლებამ მიჩვენა, რა არის სულგრძელობა. დიახ, მე ამხანაგ ბერიას მთელი სიმართლე მოვახსენე. ერთხელ ვუთხარი, რომ ვთქვათ, ინდივიდუალისტი ვიყავი, მერე ამას რა კავშირი აქვს ხელისუფლებასთან? იცით, მე ვიყავი ორჯონიკიძესთან და მან მითხრა: „არ იფიქროთ, ხვალაგის ვაგონებით ვაპირებდეთ იმ პროფესორებისა და მწერლების გადასახლებას, რომლებიც ჩვენ ხელს გვიშლიან – ჩვენ ეს არა გვსურსო. ჩვენ დავემსგავსებოდით ჰიტლერს, თუ ასე ვიტყოდით: „არ ინანებთ? – მაშ, ინებეთ საკონცენტრაციო ბანაკი". ამ სიტყვებს არასოდეს დავივიწყებ.

**ხმა დარბაზიდან** – საქმეზე ილაპარაკე!

**გამსახურდია** – მეც სწორედ საქმეზე ვლაპარაკობ. მე არასდროს არა მქონია საერთო ხულიგნებთან, ქურდებთან, ხალხის მტრებთან: გაგიგონიათ ერისთავის ანეკდოტი? „ერთხელ განათლებული ქართველი თავადი საქართველოში დაბრუნდა ჩვენი თავმჯდომარე ტროცკისტია. ახლა უარვყოფ. მაგრამ რაჟდენ გვეტაძე აძაგებს ჩემს წიგნებს: გვეტაძევ, ჩემი წიგნი მოსკოვში 50.000 ეგზემპლარი ტირაჟით გამოვიდა, თქვენ კი ამაოდ მოინახულეთ მოსკოვში თქვენი კახპები და საყვარლები, ჰოდა, თქვენი წიგნი მაინც არ გამოდის...

**დემეტრაძე** – ასეთი გამოსვლა დაუშვებელია.

**ლორთქიფანიძე** – ...მე კი არა, ცისფერყანწელები უნდა ვამხილოთ, ისინი ტროცკის ციტირებას ახდენენ...

**იაშვილი** – მოსკოვიდან ხომ არ მიგიღია იმის დირექტივა, რასაც აკეთებ?

**ლორთქიფანიძე** – რა გინდათ ამით თქვათ?

**იაშვილი** – როდის გაიგე ამ ციტატების შესახებ?

**დემეტრაძე** – იაშვილო, თქვენ მოგვიანებით მიიღებთ სიტყვის ნებას. თქვენი შეცდომა ის არის, რომ მოისმინეთ ანტისაბჭოთა ანეკდოტები და არ კი გვაცნობეთ. ყველა დაიღალა, თუ თქვენ დარჩენა არ შეგიძლიათ, რაღა გაეწყობა? ჩვენ საზოგადოდ გვაინტერესებს არა ელიავას პიროვნება, არამედ მისი საქმიანობა როგორც ფრანგი ჯაშუშისა და დივერსანტისა. თუ ელიავას არ მოსწონდა იაშვილი, მაშინ ის რაღას დადიოდა ამასთან? ეს სისულელეა. მოგვიყევი, ანეკდოტების გარდა რაზე საუბრობდით?

**იაშვილი** – უკვე მოგიყევით.

**დემეტრაძე** – თქვენ, ცხადია, აბსოლუტური პოლიტიკური სიბეცე გამოიჩინეთ და საშინელი შეცდომა დაუშვით: ფაქტობრივად გამოდის, რომ თქვენ ტროცკისტი ჯიქიას აგენტი ხართ... ამხანაგებო, მე მგონია, – თუ ეს ამხანაგების აზრიც იქნება, – რომ თავის გამოსვლაში ამხანაგმა იაშვილმა დამაკმაყოფილებლად ვერ უპასუხა მეტად სერიოზულ კითხვას, რომელიც მას დაესვა ამხანაგ ბერიას მოხსენებაში, ე. ი. მან ფართოდ ვერ გააშუქა თავისი ურთიერთობანი ხალხის მტრებთან. მე ამ საკითხს ჩვენს აქტივზე დავსვამ – შეიძლება თუ არა დარჩეს პაოლო ჩვენს რიგებში, შეიძლება თუ არა იყოს იგი ჩვენი ოჯახის წევრი.

საზოგადოდ, სხვა გამოსვლებიც არადამაკმაყოფილებელია, გამსახურდიას გამოსვლამ მე პირდაპირ გამაკვირვა...

**გამსახურდია** – დემეტრაძევ, საქმე ის არის, რომ არ შეგიძლიათ სხდომის გაძღოლა.

**დემეტრაძე** – გამსახურდიავ, თქვენ გისაყვედურებენ, რომ ბურჟუაზიულ-ფაშისტური ატმოსფერო გაკრავთ, თქვენ კიდევ რეპლიკებს ისვრით. ჩვენ ვატყუებთ პარტიას. იქნებ ვინმეს ჰგონია, რომ დუმილით შეიძლება ფონს გასვლა, მაგრამ ასე საკითხი არ გადაწყდება. მალე ზოგიერთმა სრულად უნდა აგოს პასუხი არაგულწრფელობისათვის.

გამსახურდიავ, ჩვენ მალე მოგცემთ შესაძლებლობას, ილაპარაკო რამდენიც გსურს. გარკვეულია რეზოლუციაც; – არადამაკმაყოფილებლად ჩაითვალოს ზოგიერთი ამხანაგის გამოსვლა...

**გამსახურდია** – ვისი?

**დემეტრაძე** – პაოლო იაშვილის, კონსტანტინე გამსახურდიას გამოსვლები, ხოლო მიხეილ ჯავახიშვილიც მოვა და რამდენიმე კითხვას მივცემთ მას.

**იაშვილი** – განა ყველა გამოს-



ქართველ მწერალთა ყრილობა

ვლა ერთნაირად არადამაკმაყოფილებელი იყო?

**დემეტრაძე** – ამას დავაზუსტებთ. ვინ არის მომხრე?.. (პაუზა). მიღებულია ერთხმად.

**დემეტრაძე** – მაშ ასე, დადგინდა, რომ პაოლო იაშვილმა არ მოგვითხრო თავის წარსულზე, ხალხის მტრებთან კავშირზე. ზომები უნდა მივიღოთ. მელაძევ, ჩვენ დავამთავრეთ.

**მელაძე** – საქვეყნოდ მინდა განვაცხადო, რომ, როცა ადამიანები აღიარებენ შეცდომებს, მათ არ ჩამოახრჩობენ ხოლმე.

**გამსახურდია** – შენ კარლო არ ჩამოგახრჩობენ, – შენ დაგხვრეტენ.

**მთხრობელი** – 1937 წლის 8 ივნისი. მწერალთა კავშირის პრეზიდიუმში დავით დემეტრაძე განიხილავს ცისფერყანწელთა გარიცხვის საკითხს.

**დემეტრაძე** – ამხანაგებო, პოეტი ნიკოლო მიწიშვილი უკვე მხილებულია შინსახკომის ორგანოთა მიერ როგორც ხალხის მტერი. ჩვენ რომ დროულად გამოგვეჩინა სიფხიზლე, მაშინ ადრევე ვამხელდით მიწიშვილს და გავაგდებდით მას ჩვენი რიგებიდან. სხვა აზრი ხომ არ არის? გამოსული ამხანაგები მოითხოვენ მიწიშვილის გარიცხვას. მელაძეს სურს სიტყვა?

**მელაძე** – ვიცოდი, გაბოროტებული რომ იყო. პატარა ბანკეტი გავმართე შინ. მიწიშვილიც მესტუმრა. უცებ დაიწყო პარტიული ხელმძღვანელების გინება. მაშინვე საკადრისი პასუხი გავეცით.

**დემეტრაძე** – უფრო ფხიზლად რომ ვყოფილიყავით, ეს არ მოხდებოდა. მაგრამ მიწიშვილი სწორედ თქვენთან იყო ოჯახურ ვითარებაზე. თქვენ მალავდით მიწიშვილის საზიზღარ მოქმედებას.

**მელაძე** – მთვრალი იყო და მთხოვდა, რომ არ გამემხილა.

**დემეტრაძე** – თქვენ დაფარეთ მიწიშვილის ქცევა. ახლა კი მოვუსმინოთ მიხეილ ჯავახიშვილს.

**ჯავახიშვილი** – ამხანაგებო, ლავრენტი ბერიამ იმ მწერლებს მიმაკუთვნა, რომლებმაც „უნდა გადააფასონ თავიანთი საქციელი“

უპირველეს ყოვლისა, ჩემს კავშირზე ტროცკისტ ლიდა გასვიანთან. ჩანს, გასვიანმა აცნობა, თითქოს უღირსი ლაპარაკი ჰქონდეს ჩემთან. მაგრამ ის ქალი ერთხელაც არ მინახავს პირისპირ. თვითონაც იცით, გასვიანის კაბინეტი მუდამ ხალხით იყო სავსე და ასეთ ვითარებაში კონსპირაციულ საუბარზე ლაპარაკიც ზედმეტია.

ამბობენ, ცბიერი ტროცკისტები თავიანთ მახეში აბამდნენ უპარტიო ინტელიგენციას და მიხეილ ჯავახიშვილსაც ასე მოუწყვეს. მაგრამ, შესაძლოა, პირიქითაც: მეამბოხენი ფიქრობდნენ, ჯავახიშვილიც პარტიასთან ლოიალურად არის და სწორედ ამიტომ ჩვენთვის, შეთქმულთათვის, არ არის სანდოო.

ამხანაგებო, თქვენ დიდი ხანია მიცნობთ, ამ კავშირმა გადამარჩინა დახვრეტისაგან 1923 წელს. 14 წელიწადია თითქმის ყოველდღე ვხვდებით ერთმანეთს და ვსაუბრობთ. იცით, რომ ფიცხი კაცი ვარ. თუ ტრამვაი იგვიანებს, ან საქონელი გაძვირდა, ვიღაცას შეიძლება ვუსაყვედურო. ბოლოს, მე დავძლევ საკუთარ თავს და მოვიცილებ მეშჩანურ ტალახს. მე ვარ ცკ-ას წევრი და ორდენოსანი. სტალინმა და ბერიამ დამაჯილდოვეს: ეს ორდენი დიდი ნდობის ნიშანია, რომელიც მე მაინცდამაინც არ შემილახავს, მაგრამ რომელიც სამწუხაროდ, მთლად ვერ გავამართლე, მაგრამ მე მანუგეშებს რწმენა, რომ სულ მალე სავსებით გარდავქმნი ჩემს შემოქმედებით და მოქალაქეობრივ საქმიანობას. ასევე დარწმუნებული ვარ, რომ ამ საქმეში სული და გულით დამეხმარებიან ჩემი ამხანაგები.

**დემეტრაძე** – ლორთქიფანიძე?

**ლორთქიფანიძე** – გასვიანი ცდილობდა მწერლები მიეწვია. მე მას მხოლოდ ერთხელ ვეწვიე, მაგრამ ის ჯავახიშვილზე ლაპარაკობდა. სტუმრებია თუ არა ჯავახიშვილი მას?

**ჯავახიშვილი** – მხოლოდ ერთხელ.

**დემეტრაძე** – ჩანს, ლიდა გასვიანს სურდა დაჯგუფება ჩამოეყალიბებინა. შენ აქამდე არაფერი გითქვამს ამაზე. დროა მოვუსმინოთ იაშვილს.

**იაშვილი** – მე მოვიფიქრე ელიავასთან ყველა ჩემი შეხვედრა.

ელიავას დაპატიმრების შემდეგ მისმა ნაცნობებმა ხმა გაავრცელეს თითქოს მე გავხდი მისი დაპატიმრების საბაბი. დაპატიმრებამდე ორი-სამი დღით ადრე მან მითხრა: „ყველაფერი ვიცი, რაც ჩემზე გითქვამს“. მერე შევიტყვე, წერილი მიეღო: „ფრთხილად, თვალყურს გადევნებენ“.

თუ საშუალებას მომცემენ ვუპასუხო მკაცრ განაჩენს, რომელიც ამხანაგმა ბერიამ გამომიტანა, მე ჩემს ცხოვრებასა და შემოქმედებას ისე გარდავქმნი, რომ დავიმსახურო საბჭოთა მწერლის დიდი და მაღალი წოდება.

**მთხრობელი** – მომდევნო ღამე. დაკითხავენ პროზაიკოს გამსახურდიას.

**გამსახურდია** – მე გახლავართ დანტეს „სამოთხის“ მთარგმნელი. მაგრამ ჩემი ცხოვრება ისე აუტანელი გახადეს, რომ არაერთხელ მიფიქრია თავის მოკვლა. შვიდი წელიწადია მაწამებენ ავი ენები. ამხანაგ ბერიასი მე ისე გავიგე, რომ სურს ბოლო მოუღოს ყველაფერ ამას.

ქართული ეთიკა ხელს მიშლის ისე ვიფიქრო, როგორც ახლა არის საჭირო. ჩვენ მოწმენი გავხდით ისეთი საშინელი მოვლენებისა, მე ვიხილე ისეთი ხეპრეები და ქამელეონები, რომელთა მიმართებითაც სიტყვა ადამიანმა აზრი დაკარგა, წმენდის ეს ქარიშხალი, უეჭველია, ვერ გვნებს, არამედ აღვიძებს ყოველი ჩვენგანის შეგნებას.

რაც შეეხება ლიდა გასვიანს, ვიცნობდი მას და ვმეგობრობდი. 1935 წლის 20 მაისს გავწყვიტე მასთან კავშირი...

**დემეტრაძე** – როდის იფიქრეთ თვითმკვლელობაზე?

**გამსახურდია** – მე ძალიან მიჭირს ამაზე ლაპარაკი ამხანაგების წინაშე.

**დემეტრაძე** – (დუმილი) – შეიძლება კითხვები დაუსვათ ტიციან ტაბიძეს...

**ტაბიძე** – ნება მომეცით დავასწრო კითხვებს. მე შემაძრწუნა წლევანდელმა პროცესებმა. ვერ დავიჯერებდი, რომ ადამიანები, რომლებიც „პრავდაში“ წერდნენ, ტყუოდნენ, ორპირობდნენ, ჯაშუშობდნენ, სისხლში ცურავდნენ. რაც შეეხება ლიდა გასვიანს, ალბათ იგი არც მთვლიდა მწერლად, გრძნობდა, რომ ჩემი ჩაბმა რომელიმე დაჯგუფებაში შეუძლებელი იყო.

**დემეტრაძე** – გვითხარით, ვინ მოუწყო რობაქიძეს უცხოეთში გამგზავრება?

**ტაბიძე** – თვითონ რობაქიძემ. მას ვიზა მისცეს, რაღაც-რაღაცეები გაირკვა, ვიზაც გააუქმეს, მაგრამ ის ორჯონიკიძესთან შევიდა და იმანაც აიძულა ვიღაც.

**დემეტრაძე** – რა ურთიერთობა გქონდათ ჯიქიასთან?

**ტაბიძე** – ჯიქია ჩემი სკოლის ამხანაგია, მაგრამ საქმიანი კავშირი ჩვენ არ გვქონია, ამბობენ რომ ჩემ პოემაში „რიონი“ მას წარმოვადგენ დიდ რევოლუციონერად, ეს პერსონიფიკაცია არ არის სწორი, აი, ყველაფერი.

**ლორთქიფანიძე** – გამოსულთა სიტყვები ჩვენ ვერ დაგვაკმაყოფილებს. ჯავახიშვილი გამოტყდა, რომ ლიდა გასვიანი ხშირად პატიჟობდა მწერლებს.

**ხმა დარბაზიდან** – ვის?

**ლორთქიფანიძე** – მომეშვი! მე კი არ მპატიჟობდა! იაშვილსა და ტიციან ტაბიძეს ეძახდა. მე მას ჭირივით ვერიდებოდი. მაგრამ მასთან კავშირში მხილებულია გამსახურდია. მე მხოლოდ ერთხელ ვისადილე გასვიანთან.

**იაშვილი** – მერე მასთან სადილობა არაფერს ნიშნავს?

**დემეტრაძე** – კიდევ ვინ იყო იმ ქალთან?

**ლორთქიფანიძე** – არ მახსოვს.

**ხმა დარბაზიდან** – ეს უკვე მეოთხე ვარიანტი შენი გამოსვლისა.

**ლორთქიფანიძე** – რომ მცოდნოდა გასვიანი ტროცკისტი იყო... მაგრამ მე ხომ არაფერი ვიცოდი.

**ტაბიძე** – თუმცა ამის შესახებ ყველამ იცოდა.

**ლორთქიფანიძე** – დროა სხვებმაც მოგვითხრონ გასვიანთან ურთიერთობაზე.

**ხმა დარბაზიდან** – ვინ სხვებმა?

**ლორთქიფანიძე** – ვინ, ვინ! იმან, ვისაც ეს ურთიერთობა ჰქონდა. მე კი არავისთან ვყოფილვარ, არც ჩემთან ყოფილა ვინმე, რაც შეეხება იაშვილს და ტაბიძეს, ისინი ობიექტურად ცკას წინააღმდეგ გამოვიდნენ.

**იაშვილი** – როდის?

**ლორთქიფანიძე** – ღირს კი, დარბაზიდან გასვლისთანავე ქუჩაშივე დაფქვან.

**ხმა დარბაზიდან** – ქუჩაში რაღაზე ლაპარაკობენ?

**ლორთქიფანიძე** – იმაზე, რომ ჩვენთან ყველაფერი წესიერად არ მიედინება, ზოგიერთი ამხანაგი გადასაყენებელია, ეჭვი რომ გაიფანტოს.

**ტაბიძე** – განა ეს მე მეხება?

**ლორთქიფანიძე** – რა თქმა უნდა. მოვითხოვ, ტიციან ტაბიძემ გულახდილად თქვას, იყო თუ არა თანახმა ცკ-ის ყოფილი მდივნის აზრისა – თითქოს საქართველოში არ იყოს არც ერთი ნიჭიერი მწერალი.

**ტაბიძე** – როდის იყო ეს?

**ლოთრქიფანიძე** – თქვი, იყო თუ არა ასეთი აზრი გამოთქმული?

**ტაბიძე** – არაფერიც, პირიქით კი იყო.

**ლორთქიფანიძე** – ტიციანმა აღიარა შეცდომები, მაგრამ შენიშვნებით...

**დემეტრაძე** – კეისარსა კეისრისა.

**ტაბიძე** – წავალ. ბევრი ამხანაგი, როგორც ჩანს, ვერ დავაკმაყოფილე (დგება და მიდის).

**ლორთქიფანიძე** – ამხანაგმა ბერიამ კი თქვა: „იაშვილი ელიავას ბრჭყალებში მოხვდა“.

**იაშვილი** – მე ამას ვამბობ აქ და შემიძლია სხვა ადგილასაც მოვყვე.

**ლორთქიფანიძე** – არც გამსახურდიას შეეძლო არ შეემჩნია, რა ტენდენციები ჰქონდა ლიდა გასვიანის ქცევას.

**გამსახურდია** – მე ყოველთვის პატიოსანი ვიყავი საბჭოთა ხელისუფლების წინაშე.

**ლორთქიფანიძე** – როცა ამხანაგი ბერია ამბობს, რომ ნაციონალიზმს ამოფარებული ფაშიზმის ატმოსფერო დამახასიათებელია გამსახურდიას შემოქმედებისთვისო...

**გამსახურდია** – ეს არ არის სწორი...

**ლორთქიფანიძე** – ...და რომ ჯავახიშვილი დაკავშირებულია მტრებთან, გასაგებია, რომ ამხანაგი ბერია მათ არ დაასახელებდა მტკიცების უქონლად.

**იაშვილი** – სამი წლის წინათ რომ გაგვეგონა ასეთი თავაწყვეტილი კრიტიკა, რომელსაც დღეს ვისმენთ, განა ყურადღებას მივაქცევდით?

**ლორთქიფანიძე** – თავისთავად ცხადია, რომ მივაქცევდით.

**გამსახურდია** – იცით რა, მე ვეუბნებოდი ლიდა გასვიანს, გაეწყვიტა კავშირი სხვა მამაკაცებთან, თუ არა და, ჩემთან არაფერი ესაქმებოდა.

**დემეტრაძე** – მე ეს არ მითქვამს, მაგრამ ასეთი კრებები სწორ საფუძველს უნდა დაეყრდნოს. ჯავახიშვილს დიდი სტაჟი აქვს პოლიტიკაში: თქვა, რომ იგი მხოლოდ ერთხელ შეხვდა გასვიანს, ტყუილია.

**ჯავახიშვილი** – ჩემს გულწრფელობას სხვა ადგილას დავამტკიცებ (პაუზა), აქ ძალიან ბევრი ხალხია (ყვირის). გეკითხებით ყველას, ვინ რა იცით? ხოლო თუ მე უბრალოდ თქვენი მსხვერპლი ვარ, ეს სხვა საქმეა.

**დემეტრაძე** – ქეიფის მერე, როგორც კი მიწიშვილი აგრესიულად გამოვიდა, მელაძე ვალდებული იყო მაშინვე ეცნობებინა ეს ამბავი მწერალთა კავშირისათვის.

**გამსახურდია** – გოგი ელიავას ბრალია: არ უნდა მიხვიდე იმ ქალთან, ბერიასთან რომ გაათია ღამე.

**მთხრობელი** – დემეტრაძესა და მელაძეს რაღას ერჩოდნენ?

**გამსახურდია** – რატომ დაიღუპა იუდა? პონტოელი პილატე სულელი არ ყოფილა. მეცოდება პაოლო, ის ვერ მიხვდა ამ ამბავს. მოსკოვში ყველაზე ხმამაღლა მოითხოვდა სიკვდილით დასჯას. მაგრამ, აი, რა არის საკვირველი: ქრისტესა და იუდას ყველგან ერთად იხსენიებენ მოთხრობებში, ოღონდ მათ ერთად მხოლოდ ჩვენში მარხავენ.



კონსტანტინე გამსახურდია



პაოლო იაშვილი



ტიციან ტაბიძე



მიხეილ ჯავახიშვილი



ჩანართზე მუშაობდნენ ნინო ხოფერია და კახა ქორიძე

**რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე**

# ბელარუსი და საქართველო ერთად იკრიბებიან, რათა რუსეთი გააკრიტიკონ

**ბელარუსის მკაცრმა პრეზიდენტმა ალექსანდრე ლუკაშენკომ და საქართველოს ლიდერმა მიხეილ სააკაშვილმა ჩამოაყალიბეს წარმოუდგენელი პოლიტიკური ალიანსი კრემლთან „სამედიო ომის“ მსვლელობის დროს**

კოლმეურნეობის ყოფილი თავმჯდომარის ლუკაშენკოს, რომელსაც ხშირად ევროპის უკანასკნელ დიქტატორს უწოდებენ, და კოლუმბიის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის კურსდამთავრებულის და დემოკრატიისთვის თვითგამოცხადებული მებრძოლის სააკაშვილის წყვილი შეიძლება საეჭვოდ მოგვეჩვენოს, მაგრამ, ექსპერტების აზრით, მათი ინტერესები ერთმანეთს ემთხვევა რუსეთსა და მის ყოფილ მეზობლებს შორის გაძლიერებული კონფლიქტის მსვლელობაში. ისინი ცდილობენ უფრო მჭიდრო ურთიერთობა დაამყარონ ევროპის კავშირთან.

რუსეთმა ამ თვეში მოახდინა პირველი გასროლა, როდესაც სახელმწიფო ტელეარხმა „ნტვ“ აჩვენა ორნაწილიანი დოკუმენტური ფილმი სახელწოდებით „ნათლია ბატკა“. ამ ფილმში ლუკაშენკოს ზედმეტ სახელს ათამაშებენ და იხსენებენ ცნობილ კინოს მაფიის შესახებ მარლონ ბრანდოს მონაწილეობით. მასში არის მცდელობა გვირგვინი ახადონ ბელარუსის ხელმძღვანელს, რომელსაც ბრალად სდებენ პოლიტიკური ოპონენტების „გაქრობაში“.

ლუკაშენკო აღშფოთდა ნაჩვენები ფილმით და ნება მისცა რუსეთის აღიარებულ მტერს სააკაშვილს მიეცა ყალბი ინტერვიუ ბელარუსის ტელევიზიით, რომლის დროსაც ეს ქართველი თავს დაესხა მოსკოვს კრიტიკით სამხრეთ ოსეთში 2008 წლის ომის გამო.

სააკაშვილის გამოჩენა მეტად მოულოდნელი იყო, განსაკუთრებით თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ის თავის ქვეყანას დემოკრატიის შუქურას უწოდებს, მაშინ, როდესაც ლუკაშენკო აყალბებს არჩევნების შედეგებს, ახშობს სხვაგვარად მოაზროვნეებს, 1995 წელს კი განაცხადა კიდეც, რომ „ადოლფ ჰიტლერის გერმანიაში ყველაფერი ცუდად როდი იყოო“.

„შეიძლება ეს ხანმოკლე რომანია, მაგრამ ჯერჯერობით ამ ორი ლიდერის ინტერესები ერთმანეთს ემთხვევა“, – განაცხადა დსთ-ს ქვეყნების ინსტიტუტის მოსკოველმა ანალიტიკოსმა ვლადიმერ ჟარიკინმა.

„ეს ის შემთხვევაა, როდესაც ჩემი მტრის მტერი ჩემი მეგობარია“.

სააკაშვილის გესლიანმა ინტერვიუმ გააღიზიანა მოსკოვი, სადაც რუსეთის პარლამენტის სპიკერმა ბორის გრიზლოვმა ამ გადაცემას არამეგობრული აქცია უწოდა. მაგრამ ბელარუსის სახელმწიფოს მიერ კონტროლირებული მასობრივი ინფორმაციის საშუალებები აძლიერებენ ზემოქმედებას, გამოაქვეყნეს მკვეთრი სტატია რუსეთის პრემიერ ვლადიმერ პუტინზე. სტატიის ავტორია ოპოზიციონერი პოლიტიკოსი ბორის ნემცოვი.



გასულ თვეში უშიშროების ფედერალურმა სამსახურმა მოახდინა ნემცოვის მოხსენების ასობით ათასი ეგზემპლარის კონფისკაცია, რომელშიც იგი ბრალს სდებს პუტინს იმაში, რომ მის დროს უკანასკნელი ათი წლის განმავლობაში ქვეყანაში მკვეთრად გაიზარდა კორუფცია.

ადრე გვეჩვენებოდა, რომ ლუკაშენკო და პუტინი ძველი მეგობრები იყვნენ, ვინაიდან ისინი გულთბილად მიესალმნენ ერთმანეთს ორმხრივ შეხვედრებზე. მაგრამ ურთიერთობა ორ სლავიანურ სახელმწიფოს შორის, რომელთაც აქვთ მჭიდროდ დაკავშირებული ისტორია, უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში მკვეთრად გაუარესდა ეკონომიკური დავების გამო. გასულ თვეში ისინი წაეკიდნენ ერთმანეთს მინსკის ვალის გამო ციმბირიდან მიწოდებული გაზისთვის, ერთი წლის წინათ კი მოსკოვმა აკრძალა ბელარუსიდან რძის პროდუქტების შემოტანა, როდესაც ლუკაშენკომ გამოთქვა პროტესტი გაზის ფასთან დაკავშირებით.

ექსპერტი ბელარუსის საკითხებში საერთაშორისო ურთიერთობათა სამეფო ინსტიტუტიდან არკადი მოშესი ამბობს იმის შესახებ, რომ კონფლიქტი გახდა ლუკაშენკოს უკანასკნელი მცდელობის შედეგი – მოახდინოს ქვეყნის ორიენტაციის შეცვლა დასავლეთზე.

„რუსეთს სურს, რომ ბელარუსი დაბრუნდეს სატელიტი ქვეყნების მდგომარეობაში, როგორიც იგი ოდესღაც იყო, – განაცხადა მან, – მაგრამ ლუკაშენკოს ესმის, რომ მოსახლეობისა და ბიზნეს ელიტის მნიშვნელოვანი ნაწილი თავის მომავალს ევროპაში ხედავს, რუსეთს კი მიიჩნევს საბჭოთა წარსულად. და მას სურს მოახდინოს რეაგირება ამ განწყობილებაზე, რათა შეინარჩუნოს ხელისუფლება“.

შარშან ევროკავშირმა მიიღო აღმოსავლეთ ევროპის პარტნიორობის პროგრამა, რათა უფრო მჭიდროდ შეიერთოს თავის ორბიტაში აღმოსავლეთ ევროპის ექვსი ქვეყანა, მათ შორის ბელარუსი და საქართველოც. ამან მოსკოვის დიდი შეშფოთება გამოიწვია.

ლუკაშენკომ თავის ამასწინანდელ ინტერვიუში გვაცნობა, რომ ის ევროკავშირის საგარეო პოლიტიკაზე პასუხისმგებელ ხავიერ სოლანას ეკითხებოდა, შეუძლია თუ არა ევროკავშირს შეცვალოს რუსეთი მისი საფინანსო მფარველის როლში.

ამ თვეში ბელარუსი შეუერთდა რუსეთსა და ყაზახეთს ახალი საბაჟო კავშირის შემადგენლობაში. მაგრამ, ჟარიკინის სიტყვებით, ლუკაშენკოს სურს დაამუხრუჭოს საერთო ეკონომიკური სივრცის შექმნის პროცესი, რასაც მოსკოვი უჭერს მხარს, ვინაიდან ამისთვის საჭირო გახდება უფრო ღრმა რეფორმები. „რუსეთზე ეს სატელევიზიო შეტევები, ლუკაშენკოს ბრძოლის ნაწილია სტატუს-კვოს შესანარჩუნებლად“, – ამბობს იგი.

**Guardian**

# აღიარების აღმილებში

**აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის პრეზიდენტები სერგეი ბაღაფში და ედუარდ კოკოითი ამთავრებენ ტურნეს ლათინურ ამერიკაში, რომლის დროსაც მათ მოინახულეს ნიკარაგუა და ვენესუელა. მგზავრობის შედეგი გახლდათ ხელშეკრულებათა ხელმოწერა, რომლებიც მიზნად ისახავენ შეივსოს კავკასიელი რესპუბლიკების ურთიერთობანი მათ მაღიარებელ ქვეყნებთან რაიმე შინაარსით. თუმცა, როგორც ჩვენმა რედაქციამ გამოიძია, არავითარი კონკრეტული დოკუმენტი არ ყოფილა მიღებული. ამ დროს სოხუმისა და ცხინვალის აღიარებისთვის მანაგუასა და კარაკასის ნაცვლად, ხარჯის გაღება რუსეთს უწევს**

თუ რუსეთში ხშირ მივლინებებს არ მივიღებთ მხედველობაში, სადაც სერგეი ბაღაფში და ედუარდ კოკოითი დიდ დროს ატარებენ, ლათინურ ამერიკაში ერთი კვირის მოგზაურობა აღმოჩნდა მათთვის პირველი ოფიციალური ვიზიტი საზღვარგარეთ. ორივე ლიდერი გაფრინდნენ მოსკოვიდან 16 ივლისს, თითოეული – ცალკე თვითმფრინავით. აფხაზეთის პრეზიდენტი ჩაფრინდა ჰავანამდე, ტექნიკური შეჩერების დროს მოასწრო შეხვედროდა კუბელ ჩინოვნიკებს, 17 ივლისს კი მშვიდად დაეშვა მანაგუაში. ედუარდ კოკოითის გზა უფრო დრამატული აღმოჩნდა: გზაში ორიდან ერთი მოტორი გაჩერდა, ასე რომ მოუწია სასწრაფოდ დამჯდარიყო ჰელსინკში და შეეცვალა თვითმფრინავი. ნიკარაგუაში მან ერთი დღე-ღამით დაიგვიანა, თუმცა მაინც მოახერხა სერგეი ბაღაფშთან შეერთება, შემდეგ კი ორივე ლიდერმა გზა ერთად გააგრძელეს: სამი დღე გაატარეს ნიკარაგუას პრეზიდენტთან დანიელ ორტეგასთან, 22 ივლისს კი შეხვდნენ ვენესუელის პრეზიდენტს უგო ჩავესს, 23 ივლისს ისინი გამოფრინდნენ უკანვე.

ერთკვირიანი ვოიაჟის მთავარი შედეგი გახდა საერთაშორისო ხელშეკრულებების პაკეტისთვის ხელმოწერა აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის მაღიარებელ ქვეყნებთან. სამშაბათს მანაგუაში და ხუთშაბათს კარაკასში ხელი მოეწერა შეთანხმებებს მეგობრობის, სავაჭრო-ეკონომიკური თანამშრომლობისა და უვიზო რეჟიმის შეთანხმების შესახებ. ამას გარდა აფხაზეთმა ნიკარაგუასთან და ვენესუელასთან ხელი მოაწერა შეთანხმებას საჰაერო მიმოსვლის შესახებ, სავაჭრო ნაოსნობის შესახებ, აგრეთვე მემორანდუმებს ცენტრალურ ბანკებს შორის ურთიერთობის შესახებ.

თუმცა, გარკვეული წყაროების მონაცემებით, სოხუმსა და ცხინვალში, არავითარი კონკრეტული ხელმოწერილი დოკუმენტი არ არსებობს. „ეს არის ჩარჩო ხელშეკრულებანი, მათი შევსება იქნება მხოლოდ ბიზნესი“, – გვითხრა ერთ-ერთმა მოსაუბრემ. როგორც სააგენტო „რია ნოვოსტის“ ედუარდ კოკოითმა აცნობა, ბიზნესმენები ლათინურ ამერიკაში მას არ წაუყვანია, ისინი იქ ჩავლენ მოგვიანებით და ადგილზე განსაზღვრავენ თანამშრომლობის შესაძლო სფეროებს. აფხაზეთის გეგმებიც ასევე დაუზუსტებელია. „ჩვენ გვაინტერესებს ნიკარაგუას ყავის, კაკაოს მარცვლების და ტროპიკული ხილის მოწოდება, განაცხადა სერგეი ბაღაფშმა. ჩვენი მხრიდან ჩვენ შეგვიძლია შევთავაზოთ ნიკარაგუას ჩაი, თამბაქო, თუ ამის აუცილებლობა იქნება“. იმის გათვალისწინებით, რომ ნიკარაგუა თავად აწარმოებს თამბაქოს, ხოლო ჩაი მოჰყავთ ლათინურ ამერიკაშიც, ზემოაღნიშნული აუცილებლობა ძნელად რომ დადგეს. უფრო პერსპექტიული გახდა სოხუმის მიერ წამოყენებული იდეა გამოიყენონ აფხაზეთის ნავსადგურები რეექსპორტისთვის აფხაზეთის გავლით რუსეთის ფედერაციის სამხრეთისკენ. თუმცა აქაც ბევრი შეკითხვაა: ნავსადგურებს სჭირდება ინვესტიციები, ინვესტორები კი ჯერჯერობით არ ჩქარობენ მათ რეკონსტრუქციას.

ორი რესპუბლიკისთვის სერიოზული გარღვევა გახდა შეთანხმება ნიკარაგუასთან და ვენესუელასთან ვიზების გაუქმების შესახებ: ახლა მათ მოქალაქეებს შეეძლებათ ჩაფრინდნენ მეგობარ ქვეყნებში უვიზოდ 90 დღის ვადით. დასჭირდებათ მხოლოდ გადაფრენის საფასურის გადახდა. მოსკოვი-მანაგუა-მოსკოვის ბილეთის მინიმალური ფასი 1923 დოლარი ჯდება, კარაკასამდე და უკან კი მოსკოვის დედაქალაქამდე შეიძლება იმოგზაურო 1650 დოლარად. მაგრამ ასეთი ფული ბევრს როდი აღმოაჩნდება ამ პატარა რესპუბლიკაში.

შეიძლება ფრენები უფრო იაფი აღმოჩნდეს პერსპექტივაში პირდაპირი ავიამიმოსვლის გახსნის წყალობით. თეორიულად ასეთ შესაძლებლობას ითვალისწინებს აფხაზეთის მიერ ხელმოწერილი შეთანხმება ვენესუელასთან და ნიკარაგუასთან საჰაერო მიმოსვლის შესახებ. თუმცა გაურკვეველია, თუ ვინ მოემსახურება ასეთ რეისებს. ნიკარაგუას აქვს მხოლოდ ერთი ავიაკომპანია. ის რეისებს აწარმოებს მხოლოდ ქვეყნის შიგნით, ხოლო მის ავიაპარკში სულ 6 პატარა ხრახნიანი თვითმფრინავია და ერთი შედარებით დიდი თვითმფრინავი. აფხაზეთის მხრიდან ხელშეკრულების რეალიზაცია სახელმწიფო კომპანია „აფხაზეთის ავიახაზების“ მხრებს დააწვება, რომელიც ასევე ერთადერთია ქვეყანაში.

აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ლიდერების მიერ ხელმოწერილი დოკუმენტები წარმოადგენენ ანალოგიური შეთანხმებების ასლებს, რასაც ადრე ხელი მოაწერა რუსეთმა ნიკარაგუასთან და ვენესუელასთან. როგორც ჩანს, ვერც მატერიალურ დახმარებას აუარეს გვერდი. მაგალითად, როგორც ჩვენი თანამოსაუბრე სამხრეთ ოსეთის მთავრობაში აღნიშნავს, ედუარდ კოკოითის მგზავრობის საფასური თავისი ამალით ლათინურ ქვეყანაში, ჩარტერის არენდისა და ფინეთში ბორტის შეცვლის ჩათვლით, გადაიხადა რესპუბლიკის ბიუჯეტმა, თუმცა, როგორც მაისში ბატონ კოკოითთან შეხვედრის დროს ვლადიმერ პუტინმა აღნიშნა, წელს რუსეთის ფედერაციის შენატანი სამხრეთ ოსეთის ბიუჯეტში შეადგენს 2,537 მილიარდ რუბლს, მაშინ როდესაც თავად რესპუბლიკას იმედი აქვს, რომ გადასახადების სახით შეაგროვებს სულ რაღაც 167 მილიონ რუბლს.

ასეთ პირობებში ამიერკავკასიის რესპუბლიკების მეგობრობა ნიკარაგუასთან და ვენესუელასთან იძენს კონკრეტულ შინაარსს მხოლოდ მოსკოვთან დაკავშირებით. მაგალითად, ვენესუელამ რუსეთისგან მიიღო საიარაღო კრედიტი 2,2 მილიარდი დოლარის ოდენობით, აგრეთვე მან ხელი მოაწერა თავისთვის ხელსაყრელ შეთანხმებას რუსი მენავთობეების მონაწილეობის შესახებ ნავთობსადენ ხუნინ-6-ის ათვისებაში. კარაკასს ერთი დოლარიც არ დაუხარჯია, მაგრამ მოსკოვიდან უკვე მიიღო 600 მილიონი დოლარი ბონუსის სახით ამ ხელმოწერის გაფორმებაში, უახლოეს 25 წლის განმავლობაში კი ელოდება 30 მილიარდი დოლარის მიღებას რუსეთის ინვესტიციების სახით ამ პროექტში.

მოსკოვი არ ივიწყებს ნიკარაგუასაც. მაგალითად, 2009 წელს რუსეთმა მანაგუას აჩუქა კურგანის ქარხნის 130 ავტობუსი. ამას გარდა, მაისის ბოლოს ხელი მოაწერა შეთანხმებას ნიკარაგუას ბიუჯეტის ფინანსური მხარდაჭერის შესახებ 10 მილიონი დოლარის ოდენობით რუსეთის ფედერაციის მხრიდან. ეს თანხა აისახა პროექტის განმარტების წერილში ბიუჯეტის დაზუსტებულ პროექტთან დაკავშირებით 2010 წლისთვის, რაც რუსეთის ფედერაციის მთავრობამ სახელმწიფო დუმაში გაგზავნა ივნისში. სხვათა შორის ამ წერილში საუბარი იყო იმის შესახებ, რომ რუსეთის ფედერაცია დახარჯავს 300 მილიონ რუბლს ერთი ციცქნა კუნძულის სახელმწიფო მაურის ბიუჯეტის დეფიციტის დასაფარავად, ქვეყნისა, რომელმაც აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი დეკემბერში აღიარა.





**ალექსანდრ გაბოევი**

**Коммерсант**

## დედამიწის ზურგზე



**მექსიკის ყურეში ნავთობის ჩაღვრის საქმეში პირველი ეჭვმიტანილები დაასახელეს**

ესენი არიან „ბრიტიშ პეტროლიუმის“ თანამშრომლები, რომლებიც თვალყურს ადევნებდნენ ოპერაციებს ბურღვის დროს. ესენი არიან რობერტ პალუზა და კომპანიის ვიცე-პრეზიდენტი ბურღვის საკითხში პატრიკ ო ბრაიანი. ავარიის მომენტში ორივე იმყოფებოდა პლატფორმის ბორტზე. მთლიანად ამერიკის შეერთებული შტატების გამოკვლევის ფიგურანტებად 16 კაცი ითვლება.

* * *

**ლატვიის პრეზიდენტმა არ მიიღო მონაწილეობა საინფორმაციო ომში მოსკოვსა და მინსკს შორის**

როგორც ექსპერტები მიიჩნევენ, მიუხედავად ამისა, მიუხედავად ინტერვიუს „მშვიდობიანი“ ხასიათისა, ვალდის ზატლერსის განცხადება ბელარუსის ეთერში რუსეთში შეიძლება აღიქვან, როგორც არამეგობრული ჟესტი. როგორც ანალიტიკოსები მიიჩნევენ, ზატლერსი მაინც გახდა საინფორმაციო ომის ინსტრუმენტი, რომელიც მიმდინარეობს ივლისის დასაწყისიდან ბელარუსსა და რუსეთს შორის.



* * *

**ბოლივიაში მგზავრებიანი სატვირთო მანქანა 200 მეტრის სიმაღლიდან ხრამში გადავარდა: დაიღუპა 20 კაცი**

წინასწარი ინფორმაციით, სატვირთო მანქანის მძღოლს საჭესთან ჩაეძინა. ცოცხალი გადარჩა მხოლოდ 9 წლის გოგონა, რომელიც მძიმე მდგომარეობაში ლა-პასის საავადმყოფოში მიიყვანეს.

* * *

**კოლუმბიის ახალმა პრეზიდენტმა უკომენტაროდ დატოვა კრიზისი ვენესუელასთან დაკავშირებით**

ხუან მანუელ სანტოსი დუმილს ყველაზე ხელსაყრელად მიიჩნევს ამ მომენტში თავისი პოზიციისთვის. პრესის წინაშე თავისი ხანმოკლე გამოსვლის დროს, მან განაცხადა, რომ 7 აგვისტომდე კოლუმბიის სახელმწიფოს ხელმძღვანელად რჩება ალვარო ურიბე.

* * *

**ყირგიზეთი არ ჩქარობს რუსეთისთვის სამხედრო ქარხნის გადაცემას, რომელიც აწარმოებს უნიკალურ ტორპედოებს „შკვალი“**

ახალი ხელისუფლება ამუხრუჭებს მოლაპარაკებას სამხედრო ქარხნის ბედის შესახებ, რასაც მოსკოვს დაჰპირდნენ ჯერ კიდევ რესპუბლიკის ყოფილი პრეზიდენტის ბაკიევის დროს ბიშკეკის საგარეო ვალის ჩამოწერის სანაცვლოდ. „დასტანზე აწარმოებენ ქუბინების მნიშვნელოვან ელემენტებს, რასაც დიდი მნიშვნელობა აქვს რუსეთის სტრატეგიული ბირთვული ძალების უშიშროების შენარჩუნებისთვის. ექსპერტები პეკინის დაინტერესებას ეჭვობენ ამ საქმეში.



ვაჰ, სოფელსა ამას!..

# გურული მხედრების ბედი და გერმანელი პრინცის სიყვარულის ამბავი



***სამშობლოდან ამერიკაში საშოვარზე გადახვეწილი გურული ჩაუქი მხედრების სევდიანი ისტორია ამ რამდენიმე წლის წინათ დოკუმენტურ ფილმში ასახა კინორეჟისორმა ირაკლი მახარაძემ. ჩვენი გაზეთი გამოეხმაურა ამ ფაქტს და, ახლა, ამ რამდენიმე დღის წინათ, როდესაც ტელევიზიით აჩვენეს ლანჩხუთის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში დაცული გურული მხედრების წერილები, რომელთაც ისინი ახლობლებს უგზავნიდნენ შორეული ამერიკიდან, რა გასაკვირია, დავინტერესდი და შევაწუხე გიორგი კალანდია — შესანიშნავი ახალგაზრდა კაცი, მამულიშვილობით დამუხტული ხელოვნებათმცოდნე და ამჟამად თეატრის, მუსიკის, კინოსა და ქორეოგრაფიის სახელმწიფო მუზეუმის დირექტორი (სწორედ მან გაგვაცნო ამ დღეს გურული მხედრების წერილები).***

***...ახლა რომ კარგარეთელის ქუჩაზე მუზეუმია განთავსებული, ეს ულამაზესი შენობა 1895 წელს აუგია გრაფ ოლდენბურგს. რატომ და ვისთვის, ამაზე ქვემოთ ვისაუბროთ, ახლა კი მოუსმინოთ ჩემს მასპინძელს გიორგი კალანდიას:***

## I

— ჩვენთან უამრავი, უძვირფასესი, უნიკალური ნივთი ინახება, ერთ-ერთია გურული მხედრის წერილი ამერიკაში წასვლამდე. ლანჩხუთის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში სტუმრობისას იქაურებს ვაჩვენეთ ეს წერილი, მუზეუმის დირექტორმა ქალბატონმა ნანა ანთაძემ, წერილები აბა, ჩვენ გვაქვს თუ გვაქვსო და, მართლაც, გურული მხედრების ამერიკიდან გამოგზავნილი უამრავი წერილი გაგვაცნო. მოვილაპარაკეთ, რომ ჩვენ უსასყიდლოდ გავუკეთებდით რესტავრაციას ამ წერილებს, აგრეთვე, უძველეს ფოტოებს, რომლებზეც აღბეჭდილი არიან XIX საუკუნეში ამ მხარის სხვადასხვა წრის ადამიანები, და, სამაგიეროდ, ჩვენი მუზეუმისთვის დავიტოვებდით ასლებს... ასე რომ, წამოვიღეთ ეს მასალები და ამჟამად მიმდინარეობს მათი რესტავრაცია.

...გაყვითლებულ ქაღალდებზე ზოგი წერილი დღესაც კარგად იკითხება, ერთში უცხო ქვეყანაში გადაკარგული გურულის ყოფას ვეცნობით, მეორე სამშობლოს მონატრებითაა სავსე... აი, წერილი ჩიკაგოდან, რომელიც 1913 წელს, ქრისტეშობის დღეს არის დაწერილი. მამა გურიაში დარჩენილ თავის ვაჟიშვილს არიგებს: **„გული აფერზე ეიგდო, არც თავი გლახათ გეილახო... ოჯახს კარგათ მოუარე, უდროო დროს არსად წახვიდე, ქალებმა თუ რამე გაწყენიოს, ჩემი ხათრი თუ გაქ, რამე ენა გლახათ არ შეუტრიალო, თვარა აქანაი მე ყოლისფერს გევიგებ და იცოდე, რომ ნამეტანი მეწყინება“...**

***— წერილებში ჩანს მათი ადამიანური ისტორიები... კიდევ რითაა, ჩემო გიორგი, ეს ყველაფერი საგულისყურო?***

— ეს ხალხი, ბატონო ვილენ, კაზაკებად იყვნენ მონათლული და ამ წერილებით გაირკვა მათი ქართველობა... აი, ერთი, წერს კიდეც: **„სიკვდილი რაფერ არ იქნება, როდესაც ჩვენ ამათ კაზაკები ვგონივართ“...** ეს წერილები, ჩემი აზრით, ეროვნული მნიშვნელობისაა...

## II

მუზეუმში სარემონტო სამუშაოებია გაჩაღებული. გიორგის, ეტყობა, უამრავი საქმე აქვს, მაგრამ სტუმარი სტუმარია და ამ უნიკალურ შენობაზე საუბრისას ისეთ ისტორიას მიყვება, რომელიც უთუოდ დააინტერესებს ჩვენს მკითხველს:

— ეს შენობა ქართველი ქალის სიყვარულის უკვდავსაყოფად აუგია გრაფ ოლდენბურგს. ეს ქალი იყო აგრაფინა ჯაფარიძე-დადიანისა, რომელიც გამოირჩეოდა განსაკუთრებული სილამაზით, მაგრამ გათხოვილი იყო და გერმანელმა პრინცმა მისი გულის მოგება ვერაფრით შეძლო. ადგა, მივიდა ქმართან — ტარიელ დადიანთან და ცოტა უცნაური რამ შესთავაზა: მილიონს გაძლევ ოქროთი და შენი ცოლი ერთი ღამით დამითმეო (გერმანელს აგრაფინა იმ დროს შევარდნია გულში, როდესაც, 1881 წელს, მიხაი ზიჩი ქუთაისში „ვეფხისტყაოსნისთვის“ ხატავდა ცოცხალ სურათებს და იქ აგრაფინა ასრულებდა ნესტან-დარეჯანის როლს)... ტარიელი დათანხმებია ამ მაცდუნებელ წინადადებას და მეორე დღეს, თურმე, მთელი თბილისი ხუმრობდა:

„ტარიელმა პრინცს მისცაო,
აგრაფინა კისკისაო“.

დადიანი კი დათანხმდა, მაგრამ ქალს აღარ ეკითხებიან? აგრაფინას საშინელ შეურაცხყოფად მიუღია ეს ყოველივე... გერმანელი არ იყო ჩვეული წინააღმდეგობას და ქალისთვის უთქვამს, რა გავაკეთო ისეთი, რომ შენი გული მივიგოო. თბილისში უნდა ამიშენო ისეთი სასახლე, რომლის მსგავსი არც გარეთ და არც შიგნით ამიერკავკასიაში არ იქნებაო. მართლაც, მალე ააშენეს ეს სასახლე და, როგორც გადმოცემითაა ცნობილი, პირველ დღეს, სამეჯლისო დარბაზში შესვლისას, მამაკაცებმა შარვლის ტოტები აიკარწახეს, ქალებმა კი კაბის კალთები. ეგონათ, წყალში შევიდნენ. არადა, იატაკზე დაგებული იყო ვენეციური ბროლი, ჭერიდან კი ისეთი სინათლე იფრქვეოდა, წყლის ლივლივის ეფექტი ჰქონდა... სხვათა შორის, ეს არის ერთადერთი სასახლე საქართველოში და ამიერკავკასიაში რომელიც წარმოადგენს ისლამური და გოთური სტილის ნაზავს და, რომელსაც მიშენებული აქვს „სიყვარულის კოშკი“.

**— რას წარმოადგენდა ეს კოშკი, გიორგი?**

— ეს იყო საიდუმლო ოთახი, სადაც პრინცი და პრინცესა აგრაფინა ქორწინებამდე საიდუმლოდ ხვდებოდნენ ერთმანეთს. იქ რომ მოხვდე, სახურავზე უნდა ახვიდე და ლაბირინთი გაიარო...

**— იქორწინეს, ბოლოსდაბოლოს?!**

— მაშ... 6 შვილი ჰყავდათ...

**— ტარიელ დადიანს რა ბედი ეწია?**

— ტარიელმა შეურაცხყო ცოლი, დაუშვა საბედისწერო შეცდომა, დახარბდა ფულს... სამეგრელოს მთავრებმა მოკვეთეს იგი... ამბობენ, დადიანები თავისიანებს ტარიელის სახლისკენ გახედვასაც კი უკრძალავდნენ, რომელიც ქუთაისში იდგა...

**— მდააა... გერმანელი პრინცისა და ქართველი პრინცესას ამბავი როგორღა დამთავრდა?**

— გერმანელი გერმანიაში წავიდა თავისი ექვსი შვილით, ჯაფარიძის ერთ დროს უმშვენიერესი ქალბატონი კი ქუთაისში გარდაიცვალა საწყლად...

**— მერე...**

— 1905 წელს ეს შენობა დაარბიეს ბოლშევიკებმა, მოაოხრეს აქაურობა... შემდეგ აქ იყო დადიანების რეზიდენცია და ცხოვრობდა მთავრის მემკვიდრე ანდრია დადიანი, ცნობილი მოჭადრაკე... ჩვენ ახლა მის მაგიდასთან ვსხედვართ... მერე აქ გახსნეს გონებასუსტთა სასწავლებელი, მერე — ყრუ-მუნჯთა... მერე იყო მეთოდცენტრი... ახლა ჩვენი მუზეუმია... აქ დაგვხვდა ძალიან მძიმე მდგომარეობა, მაგრამ კულტურის სამინისტროსა და მერიის მხარდაჭერით, ბევრი რამ კეთდება... უპირველესად, ვამაგრებთ საძირკველს... ჩვენი მუზეუმი ყველაზე მდიდარია ამიერკავკასიაში — 400000 ექსპონატი ინახება, დაწყებული ვანში აღმოჩენილი თეატრალური ნიღბით... მომავალ წელს, გახსნაზე გპატიჟებთ და იატაკი თუ ვენეციური არ იქნება, არც ნაკლებს დაგახვედრებთ!..

**— წარმატებებს გისურვებთ, გიორგი!**

**ვილენ მარდალეიშვილი.**

**სურათებზე: გიორგი კალანდია; გურული მხედრების წერილის ფრაგმენტი.**








# აუქციონი

**მცხეთის მუნიციპალიტეტის გამგეობა აცხადებს აუქციონს მცხეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ შემდეგ ქონებაზე სამ ლოტად:**

I ლოტი: მცხეთა, სოფელ წეროვანში მდებარე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 1000 კვ.მ. მიწის ფართი (საკადასტრო კოდი: № 72.08.-22.833) — საწყისი გასაყიდი ფასი — 9500 (ცხრაათას ხუთასი) ლარი.

II ლოტი: ქ. მცხეთაში, გამსახურდიას ქუჩაზე მდებარე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 38 კვ.მ. მიწის ნაკვეთი (საკადასტრო კოდი: № 72.07.07.782) — საწყისი გასაყიდი ფასი — 1140 (ათას ას ორმოცი) ლარი.

III ლოტი: სოფელ წეროვანში მდებარე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 1237 კვ.მ. მიწის ნაკვეთი (საკადასტრო კოდი: № 72.08.25.334) — საწყისი გასაყიდი ფასი — 11752 (თერთმეტიათას შვიდას ორმოცდათორმეტი) ლარი.

აუქციონის “ბე” შეადგენს საწყისი გასაყიდი ფასის 20 %-ს.

აუქციონის ბიჯი შეადგენს საწყისი გასაყიდი ფასის — 10%-ს.

აუქციონის მონაწილის ბილეთის ფასი შეადგენს - 50 ლარს.

აუქციონი ჩატარდება გამოცხადების დღიდან ოცდამეათე კალენდარულ დღეს, დღის 12 საათზე მცხეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის შენობაში, მისამართი: ქ. მცხეთა, დ. აღმაშენებლის ქ. № 73.□აუქციონში მონაწილეობის მსურველთა განცხადებების მიღება იწყება გაზეთში გამოქვეყნების დღიდან და გრძელდება 30-ე კალენდარული დღის 12 საათამდე. თუ 30-ე კალენდარული დღე ემთხვევა დასვენების დღეს, მაშინ განცხადებების მიღება გრძელდება და შეწყდება მომდევნო პირველსავე სამუშაო დღეს იმავე საათზე.

ინფორმაციის გამოქვეყნების შემდეგ ყველა დაინტერესებულ პირს უფლება აქვს წინასწარ გაეცნოს აუქციონით გამოცხადებულ გასაყიდ ქონებას.

აუქციონში მონაწილეობის მიღებისათვის საჭიროა ფიზიკურმა პირმა პირადობის მოწმობასთან ერთად წარმოადგინოს “ბე”-ს და ბილეთის გადახდის ქვითარი, ხოლო იურიდიულმა პირმა მასთან ერთად სადამფუძნებლო დოკუმენტაცია. თუ წარმოდგენილი დოკუმენტაცია დააკმაყოფილებს ზემოაღნიშნულ მოთხოვნებს, მყიდველი მიიღებს მონაწილის ბილეთს და მხოლოდ ამის შემდეგ მიენიჭება მონაწილის სტატუსი.

„ბე“-ს და ბილეთის საფასურის გადახდა უნდა მოხდეს შემდეგ ანგარიშზე: მცხეთის მუნიციპალიტეტის გამგეობა, საიდ.კოდი 236094196 ანგ. № 33030024 „ლიბერთი ბანკის“ მცხეთის ფილიალი, ბანკის კოდი 220101415.

**მისამართი და საკონტაქტო ტელეფონებია: ქ. მცხეთა, დ. აღმაშენებლის ქ. № 73.**

**ტელ: 51-27-27: 899 22-65-33:**

**მცხეთის მუნიციპალიტეტის გამგეობა.**

◉ ფეხბურთი

# მოვუფრთხილდეთ თაობას!

**ქართული ფეხბურთის გულშემატკივარი დღესაც მისტირის 90-იანელთა თაობას, რომელსაც პატივი ხვდა პირველს დაეცვა დამოუკიდებლობააღდგენილი სამშობლოს სპორტული ღირსება საერთაშორისო სარბიელზე.**

ცხადაძეს, შელიას, ქინქლაძეს,



ჯამარაულს, ქეცბაიას, ნემსაძეს და ძმებს არველაძეებს, დიახაც, შეეძლოთ, სასახელოდ განეგრძოთ წინამორბედთა ტრადიციები, მაგრამ ობიექტური თუ სუბიექტური მიზეზების გამო ისე დაასრულეს კარიერა, გაცილებით მეტი მწარედ მოსაგონარი მატჩი თუ ტურნირი დაგვიტოვეს.

დაიწყო ახალი სეზონი და, ძალაუნებურად, ამ პიკანტურ თემაზე ფიქრი ამოტივტივდა, როცა კარგა გვარიანად განახლებული თბილისის „დინამოს" შეხვედრა ვიხილეთ „გეფლესთან". შეგახსენებთ, რომ კახი კაჭარავას გუნდს ევროპის ლიგის მეორე საკვალიფიკაციო რაუნდის სასტარტო თამაში სკანდინავიაში 2:1 ჰქონდა მოგებული. მასპინძლებმა ამჯერადაც ანალოგიური ანგარიშით სძლის მეტოქეს (ვაწაძე, ფირცხალავა; ორლოვიძ და ღირსეულად გავიდნენ მორიგ ეტაპზე, სადაც ავსტრიის ქალაქ გრაცის „შტურმს" დაუპირისპირდებიან.

იგივე შეიძლება ითქვას „ზესტაფონზეც", რომელიც საპასუხო ბრძოლაში, მართალია, დამარცხდა სლოვაკეთის ქალაქ ბანსკაბისტრიცას „დუკლასთან" – 0:1, მაგრამ ორრაუნდიანი დუელის ბედი თავის სასარგებლოდ ერთი კვირის წინათ ჰქონდა გადაწყვეტილი – 3:0. მოკლედ, ვიმეორებთ: ამ ბიჭების თაობასა და ტალანტს მოფრთხილება უნდა!

დავძენთ, რომ ყვირილასპირელებს მორიგ წრეში ლვოვის „კარპატი" ელოდებათ.

**დანარჩენი შედეგები:** „ბანიკი" – „ვიტ ჯორჯია" 0:0 (6:0ძ, „დიორი" – „ატირაუ" 2:0 (3:0ძ, „აპოელი" – „ტაურასი" 3:1 (3:0ძ, „მიკა" – „რაბოტნიჩკი" 0:0 (1:0ძ, „რუხი" – „ვალეტა" 0:0 (1:1ძ, „ჟოდინო" – ოფკ 0:1 (2:2ძ, „რანდერსი" – „გორიცა" 1:1 (3:0ძ, „ტეტექსი" – „ვენტსპილსი" 3:1 (0:0ძ, „დინამო" (ბუქარესტიძ – „ოლიმპია" 5:1 (2:0ძ, „სანტა ხულია" – „მიუპა" 0:0 (0:3ძ, „ისკრა" – „ელფსბორგი" 0:1 (1:2ძ, „შიროკი ბრიეგი" – „აუსტრია" 0:1 (2:2ძ, „ბანგორი" – „ჰონკა" 2:1 (1:1ძ, „სილუმიაე" – „დინამო" (მინსკიძ 0:5 (1:5ძ, „ბუდუჩნოსტი" – „ბაკი" 3:0 (1:2ძ, „შიბენიკი" – „ანორთოსისი" 0:3 (დამატებით დროში, 2:0ძ, „მოგილიოვი" – „სტაბეკი" 1:1 (2:2ძ, „ელგავა" – „მოლდე" –2:1 (0:1ძ, „ბორაცი" – „ლოზანა" 1:1 (0:1ძ, „დაჩია" – „კალმარი" 0:2 (0:0ძ, „სრებრენიცა" – „დიფერდანჟი" 2:0 (3:3ძ, „ტურკუ" – „სერკლი" 1:2 (1:0ძ, „დანდალკი" – „ლევსკი" 0:2 (0:6ძ, „ვისლა" – „შიაულიაი" 5:0 (2:0ძ, „ტირანა" – „უტრეხტი" 1:1 (0:4ძ, „ვადუცი" – „ბრონდბიუ" 0:0 (0:3ძ, „მოგრენი" – „მაკაბი" 2:1 (0:2ძ, „ვიკინგური" – „ბეშიქთაში" 0:4 (0:3ძ, „ტრე პენე" – „ზრინსკი" 2:9 (1:4ძ, „რაპიდი" – „სუდუვა" 4:2 (2:0ძ, „მარიბორი" – „ვიდეოტონი" 2:0 (1:1ძ, „ოლიმპიაკოსი" – „ბესა" 6:1 (5:0ძ, „ბრეიდაბლიკი" – „მოზერუელი" 0:1 (0:1ძ, „ფინგალი" – „მარიტიმუ" 2:3 (2:3ძ, „ყარაბახი" – „პორტდაუნი" 1:1 (2:1ძ, „ციბალია" – „კლიფტონვილი" 0:0 (0:1ძ, „ბნეი იეჰუდა" – „შემროკი" 0:1 (1:1ძ, „კარპატი" – „რეიკიავიკი" 3:2 (3:0ძ.

**გია პლატონიშვილი**

◉ შეხვედრა

# მინისტრი დახმარებას დაჰპირდა



**გუშინ საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრი ლადო ვარძელაშვილი ჭადრაკის ფედერაციის მესვეურებსა და ბრძენთა თამაშის წარმომადგენლებს შეხვდა.** ფედერაციის პრეზიდენტმა გია გიორგაძემ სტუმარს ქართველი მოჭადრაკეების მიერ განვლილ ექვს თვეში მიღწეული წარმატებები გააცნო. განსაკუთრებით ბაადურ ჯობავას ევროპის ჩემპიონატის ვერცხლის მედალი და ნანა ძაგნიძის ფიდეს გრან-პრიზე გამარჯვება გამოყო. მინისტრი მასპინძლებს დახმარებასა და თანადგომას დაჰპირდა, მით უმეტეს, რომ ჩვენებს წლეულს მეტად მნიშვნელოვანი შეჯიბრებები ელით, როგორიცაა მსოფლიოს საჭადრაკო ოლიმპიადა სანტი-მანსიისკში, ევროპის გუნდური და საკლუბო პირველობები, სხვადასხვა ასაკის გოგონათა და ვაჟთა კონტინენტის პირველობა, რომელსაც შემოდგომაზე ბათუმი უმასპინძლებს.

◉ ჭადრაკი

# ლიდერი უცვლელია



**დორტმუნდში გრძელდება მოჭადრაკეთა საერთაშორისო ტურნირი ექვსი დიდოსტატის მონაწილეობით.** მე-7 ტურში აზერბაიჯანელმა შაჰრიარ მამედიაროვმა უნგრელი პეტერ ლეკო დაამარცხა. დაზავდნენ: გერმანელი არკადი ნაიდიჩი და ვიეტნამელი ლე ქუანგ ლეიმი, რუსი ვლადიმირ კრამნიკი და უკრაინელი რუსლან პონომარიოვი.

**მდგომარეობა 7 ტურის შემდეგ:** პონომარიოვი – 4,5, ლეიმი, მამედიაროვი – 4-4, კრამნიკი – 3,5, ნაიდიჩი – 3, ლეკო – 2 ქულა.

◉ სამბო

# მსოფლიოს პირველობას თბილისი უმასპინძლებს

**წლეულს, 7-11 ოქტომბერს ახალგაზრდა და ჭაბუკ სამბისტთა მსოფლიო პირველობა უნდა გაიმართოს. თავიდანვე იყო გადაწყვეტილი, რომ ამ შეჯიბრებისთვის თბილისს უნდა ემასპინძლა, მაგრამ მას შემდეგ, რაც ევროპის პირველობაზე ჩვენმა ბიჭებმა ჩრდილოელ მეზობლებს გუნდურ პირველობაში აჯობეს, გაურკვეველი სიტუაცია შეიქმნა – მოსკოვმა ასპარეზობის რუსეთის დედაქალაქში გამართვა მოისურვა.** ეტყობა, იქაური სამბოს ჩინოვნიკებს სახელმწიფოს მეთაურისგან ყურის აწევის შეეშინდათ. შეჯიბრების ჩატარების ადგილის შეცვლა ფინანსური პრობლემებით ახსნეს, რაც სულაც არ იყო სიმართლეს მოკლებული. მიზნის მიღწევაც არ გაუჭირდებოდათ, რადგან სამბოს საერთაშორისო ფედერაციას რუსეთის დუმის დეპუტატი სერგეი შოსტაკოვი ხელმძღვანელობს, ხოლო ევროპულ ფედერაციას რუს სამბისტთა თავკაცი სერგეი ელისეევი უდგას სათავეში. პირველობის თბილისში გამართვას საფრთხე დაემუქრა, მაგრამ მთავრობაში მომხდარმა სტრუქტურულმა ცვლილებებმა ვითარება შეცვალა. სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრმა ლადო ვარძელაშვილმა შეჯიბრებისთვის 100 ათასამდე ლარი გამოყო, რაც პირველობის ნორმალურად გასამართავად სრულიად საკმარისია – საქართველოს სამბისტთა ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა ოლეგ იაძემ გვითხრა: „ახლა დაბეჯითებით შეიძლება იმის თქმა, რომ ოქტომბერში მსოფლიოს პირველობას თბილისი უმასპინძლებს".



**გიორგი გაგუა**

◉ ჩოგბურთი

## დოლიძემაც წააგო

**უკვე გაუწყეთ, რომ ჩეხურ პლზენსა და მოსკოვში 14 და 16 წლის ჩოგბურთელთა ევროპის პირველობები მიმდინარეობს.** ორივე ასაკში საქართველოს 8 სპორტსმენი ჩაება მედლებისთვის ბრძოლაში. ნიკა დოლიძის (16 წ.ძ გარდა, ჩვენი გოგონები და ვაჟები პირველი წრიდანვე დაემშვიდობნენ მთავარ ტურნირს, თუმცა სათანადოდ ვერც დამამშვიდებელ ჯგუფში გაისარჯნენ. აი, ნიკამ ორი შეხვედრა კი მოიგო, მაგრამ მესამე ბარიერი ვერც მან გადალახა – ტურნირზე მე-4 ნომრად განთესილ პორტუგალიელ ფედერიკო სილვასთან დამარცხდა – 2:6, 2:6.



## ნახევარფინალში გავიდა

**22 წლის ქართველი ჩოგბურთელი თათია მიქაძე უკრაინის ქალაქ ხარკოვის საერთაშორისო ტურნირში (საპრიზო ფონდი 25 ათასი დოლარიძ მონაწილეობს.** მეოთხედფინალში მან ფრანგ ალიზლიმის სძლია სამ სეტში – 5:7, 6:2, 7.6 და ნახევარფინალში რუს იულია კალაბინას დაუპირისპირდება.

◉ ინტერნეტიდან

## ჟურნალისტს გაუსწორდნენ



**ეს მოხდა ბრაზილიაში, ქვეყნის ჩემპიონატზე „ვიტორიასა" და „გოიიასის" მატჩის შემდეგ, რომელიც დამთავრდა 2:2, სტუმართა მწვრთნელი და ფეხბურთელები პირდაპირ მინდორზე მისცვივდნენ ჟურნალისტ როკი სანტოსს და სცემეს.**

როგორც შემდეგ ჟურნალისტის განცხადებით გამოირკვა, კონფლიქტის მიზეზი გახდა მისი შეკითხვა: „მაინც როგორ მოახერხეთ ამ გამარჯვების ხელიდან გაშვება?"

პოლიციამ დააპატიმრა „გოიიასის" დამრიგებელი ემერსონ ლეაო და სამი ფეხბურთელი. შემდეგ ისინი სასამართლომდე შინ გაუშვეს.

## ყველაზე ძვირფასნი

**თუ დავუჯერებთ ჟურნალის Forbes ექსპერტებს, ინგლისურმა „მანჩესტერ იუნაიტედმა" შეინარჩუნა ლიდერობა მსოფლიოს ყველაზე ძვირი სპორტული გუნდების რეიტინგში.**

ამ კლუბის, ამერიკელ ბიზნესმენებს გლეიზერებს რომ ეკუთვნით, აქტივშია 1,83 მილიარდი დოლარი, თანაც მისი წლიური შემოსავალი 459 მილიონი დოლარია.

ამ საფინანსო რეიტინგში მანჩესტერელების ყოფილი მეტოქე მადრიდის „რეალი" მეოთხედან მეექვსე ადგილზე გადავიდა 1,2 მილიარდი დოლარით, ხოლო მერვეზეა ლონდონის „არსენალი" – 1,18 მილიარდი დოლარით.



ახალ რეიტინგში მეორე საფეხურზეა ამერიკული ეროვნული ფეხბურთის კლუბი „დალას კოვბოისი" – 1,65 მილიარდი დოლარით, მესამეზე კი ამერიკული ბეისბოლის გუნდი „ნიუ-იორკ იანკიზი", რომელიც შეფასებულია 1,6 მილიარდ დოლარად.

ყველაზე მაღალანაზღაურებადი სპორტსმენების ლიდერია გოლფის ვარსკვლავი ტაიგერ ვუდსი, რომლის წლიური შემოსავალია, დიდი ოჯახური სკანდალის მიუხედავად, 105 მილიონი დოლარი, მას მოჰყვება მოკრივე ფლოიდ მეივეზირ-უმცროსი – 65 მილიონი დოლარი. ამ „შესანიშნავი სამეულის" ბოლოში კი კალათბურთელი კობი ბრაიანტია – 48 მილიონი დოლარი.

## შვარცენეგერს შეავიწროვებს?

**კალიფორნიაში, ამ მხარის გუბერნატორის, ცნობილი მსახიობის და სპორტსმენის არნოლდ შვარცენეგერის სახლის მახლობლად ლოს-ანჯელესში ბრაზილიელმა სუპერმოდელმა ჟიზელ ბუნდჩენმა და მისმა ქმარმა, ამერიკული ფეხბურთის მოთამაშემ ტომ ბრეიდიმ წამოიწყეს ფართო საკუთარი საცხოვრებელი სახლის მშენებლობა. 6705 კვადრატულმეტრიან ბინაში იქნება გარაჟი 6 მანქანისათვის და აუზი, რვა საძინებელი ოთახი, ყველაფერი ძალზე ფართო, რათა სტუმრად ჩამოსულმა ბრაზილიელმა ნათესავებმა თავი ხალვათად იგრძნონ.**



იქვე ახლოს იქნება ბრიჯეტ მონსანის სახლიც, ის ხომ ბრეიდის ვაჟიშვილს უზრდის.

მიწის ნაკვეთი, სადაც ეს მშენებლობა მიმდინარეობს, ჯერ კიდევ 2008 წელს იყიდეს 20 მილიონ დოლარად, ცოლ-ქმრის მოუცლელობის გამო, ათვისებული არ ყოფილა.

მშენებლობას ძირითადად ჟიზელი ხელმძღვანელობს, ის წყვეტს დიზაინის საკითხებსაც. თავისუფალ დროს ის ჰოლივუდის გორაკებზე პატარა ბენჟამენს დაასეირნებს საყვარელ ძაღლთან ერთად. არც სპორტს ივიწყებს და ლოს-ანჯელესის საუკეთესო სპორტულ კლუბში დადის.

◉ წკეპლიკა (ცხელ კვალზე)

# საქართველო: მიხეილიზაციიდან სინგაპურიზაციამდე

**ცხონებულმა პოეტმა-აკადემიკოსმა (აკადემიაში გამოჩენა რომ ვერც კი მოასწრო) მუხრან მაჭავარიანმა ერთ-ერთ ახალგაზრდულ ლექსში, მახსოვს, სულ ადვილად გადაჭრა უმუშევრობის პრობლემა ამერიკაში (აშშ-ში).**

თქვენ თუ გახსოვთ ლექსი, იგი „ლენინის ქუჩად“ იყო დასათაურებული და ავტორი ასე მიმართავდა უმუშევარ ამერიკელს (აშშ-ელს), სულ ერთია, ვინ იქნებოდა, დინი, მარტინი გინდ ჯონი: „დაარქვი ბროდვეის ლენინის ქუჩა. ძნელია? არ არის შიმშილზე ძნელი. დაარქვი, თუ გინდა იცხოვრო კაცურად, დანაყრდე, გამართო წელი“ (ზეპირად „ვციტირებ“ და ეგებ ცოტა მეშლება კიდევაც).

რამ გამახსენა ახლა ეს თუ მიხვდებით: პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა მორიგი ახალი ცნება შემოიღო: არც აცხელა, არც აცია და „საქართველოს სინგაპურიზაცია“ ბრძანა. დაარქვა კიდევაც საქართველოს „ევროპის სინგაპური“ და ამით ერთბაშად, ეგრევე გადაწყვიტა ქვეყნის აყვავება-აყვავილების საკითხი.

ძნელი იყო? არ იყო ზექვირად ღირებული მასაჟისტი ქალის ჩამოყვანაზე, მილიარდდოლარიანი სასახლის აშენებაზე, ქუთაისში მემორიალის აფეთქებაზე, რუსეთთან ომის დაწყებაზე და არაერთ სხვა „აქციაზე“ ძნელი...

ასეა თუ ისე, სინგაპურიზაცია, როგორც მე მესმის (და თქვენც შეისმინეთ), აგერ-აგერ დაიწყება და მალე უნდა ველოდოთ ეკონომიკურ სასწაულს, აღორძინებასა და ევროპის სინგაპურად გადაქცევას საქართველოსი; მით უფრო ახლა, როცა ახალი მინისტრი გვყავს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარებისა, მომხიბლავი, ვითარცა ყველა სამთავროზო მანდილოსანი, ქალბატონი ვერონიკა (ისე, ეკონომიკა-ვერონიკა ბიძაშვილ-მამიდაშვილები ხომ არ არიან?..).

ერთი რამ კი საფიქრალია: ევროპის სინგაპური, როგორც ცნება, ორი კომპონენტისგან შედგება – ევროპა და სინგაპური და ყოველ შემთხვევაში, გვეკითხა მაინც ევროპასა და სინგაპურისათვის, მიესალმებიან თუ არა საქართველოს სინგაპურობას.

მეორე მხრივ, რაკი ერთი „ზაცია“ წარმატებით გვაქვს გავლილი, ეგებ საეჭვო არცრა იყოს-რა: კაი ხანია, რაც მომხდარია საქართველოს მიხეილიზაცია (დარჩენილი საქართველოსი), მივიღოთ ეს გენერალურ რეპეტიციად და „ზაციის“ გარკვეულ გამოცდილებად...

**ლუკა გორგაძე**

**P. S. საკრებულოში ერთი სიმპათიური ქალბატონი მეგულება ნაცნობი, „გუშლამ“ დავურეკე და ვკითხე: თუ მოკარი, ინგა, ყური, რომ გავხდებით სინგაპური-მეთქი; — როგორ არ მოვკარი, მაგრამ არა მჯერა, როგორც არაფერი სხვა მაგისიო, მითხრა...**

**ლ. გ.**

ხსოვნა

# ზაქარია ჯოხარიძე



მეორე მსოფლიო ომის ვეტერანთა რიგებს გამოაკლდა გადამდგარი პოლკოვნიკი ზაქარია ჯოხარიძე.

დაიბადა 1921 წლის 25 იანვარს თელავის რაიონის სოფელ შალაურში. 1939 წლიდან გაიწვიეს არმიის რიგებში. მონაწილეობდა მოსკოვისა და უკრაინის განთავისუფლებისთვის ბრძოლებში, რომლის დროსაც დაიჭრა.

ომის დამთავრების შემდეგ სამსახურს განაგრძობდა საბჭოთა შეიარაღებულ ძალებში. 1955 წელს დაამთავრა სამხედრო-საჰაერო ძალების აკადემია. იმყოფებოდა საპასუხისმგებლო თანამდებობებზე. იყო ბატალიონის მეთაური, საავიაციო დივიზიის მეთაურის მოადგილე და ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის ავიაციის ზურგის შტაბის უფროსი.

1975 წელს თადარიგში გავიდა და 1991 წლამდე მუშაობდა საქსტანდარტის სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება „ისანის“ გენერალური დირექტორის მოადგილედ.

1991 წლიდან იგი აქტიურად ჩაება ვეტერანულ მოძრაობაში. გარდაცვალებამდე იყო გლდანი-ნაძალადევის რაიონის ვეტერანთა კავშირის თავმჯდომარე, სადაც დიდი ძალისხმევას იჩენდა ვეტერანების სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებისთვის.

იყო გულისხმიერი, ზედმიწევნით პრინციპული და პატიოსანი ადამიანი, რომელიც დამსახურებული პატივისცემითა და ავტორიტეტით სარგებლობდა საზოგადოებაში.

ზ. ჯოხარიძე დაჯილდოებული იყო 7 ორდენითა და 21 მედლით.

მისი ნათელი ხსოვნა დიდხანს დარჩება მეგობრების, ნათესავებისა და ვეტერანთა საზოგადოებრივ ორგანიზაციებში.

ღმერთმა ნათელში ამყოფოს მისი სული. ამინ.

საქართველოს ომის, შრომისა და სამხედრო ძალების ვეტერანთა ცენტრალური, თბილისის საქალაქო და რაიონული კავშირები


აუქციონი

**მცხეთის მუნიციპალიტეტის გამგეობა აცხადებს აუქციონს მცხეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ შემდეგ ქონებაზე ერთ ლოტად:**

**I ლოტი: ქალაქ მცხეთაში, არსუკიძის ქ. №12-ში მდებარე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 700 კვ.მ. მიწის ფართი და მასზე მდებარე შენობა-ნაგებობა (საკადასტრო კოდი: №72.07.06.060) – საწყისი გასაყიდი ფასი –50 000 (ორმოცდაათიათასი) აშშ დოლარის ექვივალენტი ლარებში.**

**აუქციონის „ბე“ შეადგენს საწყისი გასაყიდი ფასის 20 %-ს.**

**აუქციონის ბიჯი შეადგენს საწყისი გასაყიდი ფასის – 10%-ს**

**აუქციონის მონაწილის ბილეთის ფასი შეადგენს – 50 ლარს**

აუქციონი ჩატარდება გამოცხადების დღიდან ოცდამეათე კალენდარულ დღეს, დღის 12 საათზე მცხეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის შენობაში, მისამართი: ქ. მცხეთა, დ. აღმაშენებლის ქ. №73. აუქციონში მონაწილეობის მსურველთა განცხადებების მიღება იწყება გაზეთში გამოქვეყნების დღიდან და გრძელდება 30-ე კალენდარული დღის 12 საათამდე. თუ 30-ე კალენდარული დღე ემთხვევა დასვენების დღეს, მაშინ განცხადებების მიღება გრძელდება და შეწყდება მომდევნო პირველსავე სამუშაო დღეს იმავე საათზე.

ინფორმაციის გამოქვეყნების შემდეგ ყველა დაინტერესებულ პირს უფლება აქვს წინასწარ გაეცნოს აუქციონით გამოცხადებულ გასაყიდ ქონებას.

აუქციონში მონაწილეობის მიღებისათვის საჭიროა ფიზიკურმა პირმა პირადობის მოწმობასთან ერთად წარმოადგინოს „ბე“-ს და ბილეთის გადახდის ქვითარი, ხოლო იურიდიულმა პირმა მასთან ერთად სადამფუძნებლო დოკუმენტაცია. თუ წარმოდგენილი დოკუმენტაცია დააკმაყოფილებს ზემოაღნიშნულ მოთხოვნებს, მყიდველი მიიღებს მონაწილის ბილეთს და მხოლოდ ამის შემდეგ მიენიჭება მონაწილის სტატუსი.

„ბე“-ს და ბილეთის საფასურის გადახდა უნდა მოხდეს შემდეგ ანგარიშზე: მცხეთის მუნიციპალიტეტის გამგეობა, საიდ.კოდი 236094196 ანგ. №33030024 „ლიბერთი ბანკის“ მცხეთის ფილიალი, ბანკის კოდი 220101415

**მისამართი და საკონტაქტო ტელეფონებია: ქ. მცხეთა, დ. აღმაშენებლის ქ. №73. ტელ: 51-27-27: 899 22-65-33.**

მცხეთის მუნიციპალიტეტის გამგეობა


◉ ინფორმაცია

## ელექტრომაქინაციებს „ბობოლები“ შეეწირნენ

**ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურმა სააქციო საზოგადოება „საქრუსენერგოს“ ყოფილი ხელმძღვანელი პირები: გენერალური დირექტორი გიორგი შერაძე და პირველი მოადგილე შოთა მაისურაძე დააკავა.**

წინასწარი გამოძიებით, დადგენილია, რომ საქართველოს მთავრობის 2006 წლის 3 ნოემბრის № 515 დადგენილების მიხედვით საქართველო-სომხეთის 400-კილოვოლტიანი ელექტროგადამცემი ხაზის სარეაბილიტაციო სამუშაოებისათვის გამოიყო 8 000 000 ლარი. პროექტის ფარგლებში ელექტროსადენის გარკვეულ მონაკვეთზე უნდა გაჭიმულიყო სამსადენიანი 500-კილოვოლტიანი კაბელი.

აღნიშნულის ნაცვლად, ს/ს „საქრუსენერგოს“ ხელმძღვანელობის მიერ, სარეაბილიტაციო სამუშაო მხოლოდ ორსადენიანი კაბელით იქნა შესრულებული. აღნიშნულის შედეგად სახელმწიფოს მიადგა მნიშვნელოვანი ზიანი, ვინაიდან მოცემული ელექტროგადამცემი ხაზის გამართული და უსაფრთხო ფუნქციონირებისათვის საჭირო კვეთის მქონე კაბელის ნაცვლად დაამონტაჟეს უფრო დაბალი მონაცემების მქონე შეუსაბამო სადენი და მიითვისეს ზემოხსენებული სამუშაოებისათვის გამოყოფილი განსაკუთრებით დიდი ოდენობით თანხა 2 138 300 ლარი.

ბრალდებულებს სასამართლოს მიერ უკვე შეეფარდათ წინასწარი პატიმრობა.

ХО-ЭЮВ-ЭНО

◉ ცნობარი

# სად გინდათ, რომ დარეკოთ?

1. ავიაბილეთები ყველა მიმართულებით 36-40-11; 36-50-11; 422-422; 91-37-51; 91-37-52.
2. აეროპორტში დახვედრა-გაცილება 18-22-44; 899 33-33-53.
3. ავტოსადგური „ოკრიბა“ 34-26-92.
4. ადამიანის უფლებათა დაცვის ცენტრი 37-69-50; 45-45-33.
5. ავტომანქანების გაქირავება 895-33-21-00.
6. ამინდის ბიურო 43-95-31; 45-95-32.
7. აეროპორტის საინფორმაციო ბიურო 31-04-21.
8. ბავშვთა უფლებების დაცვის საქალაქო ცენტრი 99-66-04.
9. გაზი გამოძახებით 008; 92-32-46; 92-10-08.
10. შპს „აკადემიკოს გ. ჩაფიძის სახელობის გადაუდებელი კარდიოლოგიის ცენტრი“ 53-06-32.
11. საქ. მთავარი პროკურატურის ცხელი ხაზი 40-52-22.
12. გაზის საავარიო (ქალაქისა) 04; 74-86-27, 74-89-04 (საავარიო);
38-56-16 (ცენტ. სადისპეტჩერო).
13. ჯანდაცვის სამინისტრო 94-34-98 (ცხელი ხაზი); 94-49-11.
14. შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის ცხელი ხაზი 20-62-32.
15. დამკრძალავი ბიურო, მუნიციპალური საწარმო „ჰერმესი“ 21-21-84; 21-21-94.
16. კავკაზუს ონლაინი, დეპეშის გაგზავნა ინტერნეტით 50-60-06.
17. ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური 99-10-58.
18. „თელასის“ საინფორმაციო ცენტრი 25-52; 25-52-11.
19. „თელასის“ ცხელი ხაზი 77-99-99; 27-44-11.
20. შპს „იმუნიზაციის ცენტრი“ 31-22-78.
21. იუსტიციის სამინისტრო 40-52-02.
22. კატასტროფის მედიცინის ცენტრი. პაციენტების ტრანსპორტირება რეფერალური პროგრამით მხოლოდ სტაციონარებიდან 53-11-73; 877 45-20-01.
23. საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია 38-61-40 (პრესსამსახური); 31-13-13 (ადმინ. დეპარტამენტი).
24. კონტროლის პალატა 43-81-81 (ცხელი ხაზი); 43-81-78 (კანცელარია).
35. „სასწრაფო სამედიცინო დახმარება 033“; 03; 54-70-04; 54-70-03.
36. სასწრაფო სტომატოლოგიური მომსახურება ბინაზე გამოძახებით 24 საათის განმავლობაში 478-478; 871 478-478.
37. საქართველოს მთავრობის კანცელარია 92-26-87 (მისაღები).
38. საგარეო საქმეთა სამინისტროს პრესისა და ინფორმაციის დეპარტამენტი 28-47-47; 28-48-22; 28-48-93; 28-48-96 (ცხელი ხაზი).
39. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების ცენტრი 077.

## ყველა ზარი ხელსატაცად

25. კანალიზაციის საავარიო სამსახურის ცხელი ხაზი 93-11-11.
26. ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრო 43-11-00.
27. მერიის ცხელი ხაზი 72-22-22.
28. მერიის ცხელი ხაზი – ცხოველებისგან დაზარალებულთა დახმარება 54-04-43.
29. მერიის სამოქალაქო მონაწილეობის და ინტეგრაციის საქალაქო სამსახური 37-81-44; 37-81-53.
30. ნავთლუღის ავტოსადგური 74-83-03; 74-63-23.
31. სახალხო დამცველი 99-58-98; 92-24-79; 92-31-66.
32. რკინიგზის სადგური 56-35-66; 56-47-60.
33. სახანძრო-სამაშველო ოპერატიული სამსახური 01, 011, 75-20-85; 41-17-71; 41-17-72.
34. საპატრულო პოლიცია 022.
40. სადღეღამისო სტომატოლოგიური კლინიკა, 22-67-22; 10-30-50; 899 57-64-12.
41. სოფლის მეურნეობის სამინისტროს გენინსპექციის ცხელი ხაზი 37-80-50.
42. საქართველოს სტანდარტების ტექნიკური რეგლამენტებისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტო 61-30-90; 61-30-21.
43. საყოფაცხოვრებო და სამშენებლო ნარჩენების გატანა 45-20-23.
44. სამედიცინო-საინფორმაციო სამსახური 25-22-72 (ადმინისტრაცია); 25-22-45 (ადგილზე მომსახურების განყოფილება, მედიკამენტების სახლში მიტანა).
45. სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიის, მცენარეთა დაცვის ეროვნული სამსახური, რეგისტრაციების და ნებართვების სამმართველო 53-09-67.
46. ტაქსი გამოძახებით 93-91-00.
47. ტრეფიკინგის მსხვერპლთა და უცხოეთში წამსვლელთა ფსიქოლოგიური და იურიდიული დახმარება 100-229.
48. შინაგან საქმეთა სამინისტროს ცხელი ხაზი 51-70-34; 41-10-68 (კანცელარია, მოქალაქეთა და წერილების განყოფილება).
49. ფინანსთა სამინისტრო 26-14-12; 26-14-10 (კანცელარია); 26-24-09.
50. ფინანსთა სამინისტროს სატელეფონო ცენტრი, საგადასახადო კონსულტაციები 007.
51. ქორწინების რეგისტრაცია სიღნაღში 895 24-77-77.
52. ღვთისშვილთა კავშირის ცხელი ხაზი (შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთათვის) 25-01-45; 22-54-17.
53. „ყაზტრანსგაზი“ 20-04-04 (გაზიფიცირების სამსახური).
54. „ყაზტრანსგაზის“ საინფორმაციო 31-04-04.
55. „ყოფილი პოლიტპატიმრები – ადამიანის უფლებებისთვის“ 93-14-28; 877 71-17-20.
56. შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალური ინსპექციის ცხელი ხაზი 98-39-43; 99-53-50.
57. შინაგან საქმეთა სამინისტროს თბილისის მთავარი სამმართველოს სამორიგეო 41-40-63; 41-42-63.
58. შინაგან საქმეთა სამინისტროს მორიგე 74-62-67.
59. სააქციო საზოგადოება „ცენტრალური ავტოვაგზალი“ 75-34-33.
60. ნარკოლოგიის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტი, ნარკოლოგიურ-ამბულატორიული დაწესებულება 39-95-08 (რეგისტრატურა).
62. წყალკანალის ექსპლუატაციის სამსახური 48-72-88 (უფროსი მორიგე).
63. წყალკანალის ცხელი ხაზი 93-11-11.

## სულიერება

# ივერონელი ქართველები



**25 ივლისს საქართველოს წმინდა მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია იხსენიებს წმინდა ათონის მთაზე მოღვაწეთა სავანის დამაარსებელთ – ღირს იოანეს და გაბრიელს.**

...იოანემ ქრისტეს სიყვარულის გამო დატოვა ამქვეყნიური დიდება, პატივი, ოჯახი და ფარულად მიაშურა ლავრას დიდებულთა ოთხთა ეკლესიათა. შემდგომში მან თავისი ძე, ყრმა ექვთიმეც წაიყვანა ათონის მთაზე. სულ მალე ლავრას ბევრმა ქართველმა მიაშურა და იოანე იძულებული გახდა საკუთრივ ქართველებისთვის აშენებინა ეკლესია ოთხი მახარებლის სახელზე. ეკლესიასთან ერთად ივერიელებმა სენაკებიც ააგეს საცხოვრებლად.

გაბრიელ ქართველმა სასწაული მოახდინა ბრწყინვალე შვიდეულის სამშაბათს. მან ზღვიდან ნაპირზე გამოაბრძანა ღვთისმშობლის ხატი. ამ ადგილას, სადაც ხატი დაასვენეს, მაკურნებელმა წყარომ ამოხეთქა, რომელიც დღესაც აგრილებს სიცხისგან დაღლილ ბერებს და მლოცველებს.

გაბრიელ ქართველს მუდამ ახსოვდა ღვთისმშობლის გამოცხადებისას ნათქვამი: „...რამეთუ მე მნებავს არა იგი, რათა მიცავდეთ თქვენ, არამედ რათა თვით მე გფარვიდეთ თქვენ!“

...დღეს ათონის ივერთა მონასტერში არის ივერიის ღვთისმშობლის ხატი და დიდი ხატი ივერონის დამაარსებელი ქართველებისა; და... იქ, ყველას უყვებიან საოცარი ქართველი ბერის – გაბრიელის შესახებ, იქვეა ქართველთა საქვალეც, იოანე-თორნიკეს ჯაჭვის პერანგი და უამრავი ქართული ხელნაწერი.

**გიული ლიპარტია**

## დღის კალენდარი

## 24 ივლისი

**ხსენება დიდმოწამე ევფემია ყოვლადქებულის სასწაულისა, რაჟამს იგი ქალკიდონისა კრებამან დაწერეს სარწმუნოება, რომლითაც განმტკიცდა მართლმადიდებლობა (451წ; მოწამისა კინდეოზ ხუთისა (III-IVს; მოციქულთა სწორისა ოლღასი, წმიდა ნათლისღებით ელენესი (969წ.**



ამოდის 04.47
ჩადის 19.27



ამოდის 18.26
ჩადის 02.57

### დაიბადნენ:

**1759 – ემანუელ ვიქტორ I,** სარდინიის მეფე 1802-1821 წლებში. გარდაიცვალა 1832 წელს.

**1802 – ალექსანდრე დიუმა,** ფრანგი მწერალი. გარდაიცვალა 1870 წელს.

**1803 – ადოლფ ადანი,** ფრანგი კომპოზიტორი, პიანისტი და პედაგოგი. ბალეტების „ჟიზელის“ და „კორსარის“ ავტორი. გარდაიცვალა 1856 წელს.

**1857 – გიორგი ტარსაიძე,** ქართველი ექიმი, ოფთალმოლოგი. 1892 წელს მისი თაოსნობით თბილისში გაიხსნა თვალის სნეულებათა უფასო საავადმყოფო. გარდაიცვალა 1904 წელს.

**1941 – თედო ბექიშვილი,** პოეტი. გარდაიცვალა 1989 წელს.

### გარდაიცვალნენ:

**1862 – მარტინ ვან ბურენი,** აშშ-ის მე-8 პრეზიდენტი 1837-1841 წლებში.

**1906 – გროვერ კლივლენდი,** აშშ-ს 22-ე და 24-ე პრეზიდენტი.

### მოვლენები:

**1554 წელი** – ინგლისის დედოფალი მარია ცოლად გაყვა ნეაპოლისა და იერუსალიმის მეფეს ფილიპს.

**1783 წელი** – რუსეთის იმპერიასა და ქართლ-კახეთის სამეფოს შორის დაიდო გეორგიევსკის ტრაქტატი. ქართლ-კახეთის სამეფო შევიდა რუსეთის მფარველობაში.

**1802 წელი** – კახეთში თავადებმა მოაწყვეს შეთქმულება და რუსეთის იმპერიას 1783 წლის ტრაქტატის პირობათა დაცვა მოსთხოვეს. თავადი ჩოლოყაშვილის გამცემლობის შედეგად შეთქმულება ჩაიშალა.

**1828 წელი** – რუსთა და ქართველთა გაერთიანებულმა ლაშქარმა ახალქალაქი აიღო.

**1938 წელი** – თბილისში, მთაწმინდის პლატოზე გაიხსნა კულტურისა და დასვენების პარკი.

**1938 წელი** – გამოიგონეს უნალექო ყავა.

**ღირსსახსოვარი დღეები:**

**ვენესუელა** – სიმონ ბოლივარის დღე.

**ვანუატუ** – ბავშვთა დღე.

**ფიჯი** – კონსტიტუციის დღე.

**მედიანიუსი**

## ყველაფერი ყველაფერზე

### რატომ ვერ იტანდა პოლიტიკოსებს

**დიდი კინომსახიობი ჟან გაბენი (რომლის ნამდვილი სახელია ჟან ალექსი მონკორჟეძ, რომელსაც საქართველოში ბევრი დამფასებელი ჰყავდა, ვერ იტანდა პოლიტიკოსებს. რატომ? თვლიდა, რომ სწორედ მათი ბრალია ფაშიზმის გამოჩენა, რომელმაც პირადად მასაც და მთელ მსოფლიოსაც უდიდესი ბოროტება მოუტანა. არ უყვარდა არც ქალები, რომლებმაც არაერთი პრობლემა შეუქმნეს.**

ისე კი მსახიობს დონ ჟუანის რეპუტაცია შეექმნა. პირველ ცოლთან მსახიობ გაბი მასეტთან ვაჟი ჟაკი ჰყავდა. მეორე ცოლს, მსახიობ ჟანა მოშონს მალე გაეყარა. 1938 წელს, 34 წლისას, მარსელ კარნემ ფილმში – „ნისლების სანაპირო“ მთავარი როლი შესთავაზა. აქ იგი 18 წლის მიშელ მორგანს შეუყვარდა. მათი რომანი საყოველთაოდ ცნობილი გახდა. როცა გერმანელებმა საფრანგეთი დაიპყრეს, გაბენი ამერიკაში წავიდა. აქ მიშელ მორგანი კი ნახა, მაგრამ მას უკვე სხვა საყვარელი ჰყავდა. სამაგიეროდ აქ მარლენ დიტრიხი გაიცნო, თავისი ცხოვრების ყველაზე დიდი გატაცება, როცა გაბენმა ამერიკაში ველარ გაძლო, საფრანგეთში დაბრუნდა და „თავისუფალ საფრანგეთის“ რიგებში ჩაეწერა, რათა გერმანელებთან ებრძოლა, მას მარლენ დიტრიხიც ჩამოჰყვა. ომი ჟან გაბენმა, რომელსაც საფრანგეთში ნამდვილი გმირის სახელი ჰქონდა, „ჰიტლერის ბუნაგში“, ბერტჰესჰადენში დაამთავრა.



როცა 1976 წელს დიდი მსახიობი გარდაიცვალა, მისი ანდერძის თანახმად ურნა ატლანტის ოკეანის წყლებში ჩაუშვეს.

### თემურ ლენგმა არც მოკავშირე იცოდა და არც მეგობარი

**თემურ ლენგს საქართველოს საბოლოოდ დანგრევა უნდოდა, თუმცა ეს არ გამოუვიდა, მაგრამ ქვეყანა დიდად დააზიანა. დიდად გამოცდილი სარდალი, განსაკუთრებული სისასტიკე რომ ახასიათებდა, 35 წლის განმავლობაში წარმატებით ომებს აწარმოებდა. თავს ჩინგის ყაენის ჩამომავლად თვლიდა, სინამდვილეში კი გათურქებული მონღოლური ტომის, ბარლასის წარმომადგენელი იყო. მან არც მოკავშირე იცოდა და არც მეგობარი, იყო უაღრესად ვერაგი და დაუნდობელი.**



1388 წელს დაიმორჩილა ხორეზმი, მისი დედაქალაქი ურგენჩი ისე მოსპო, რომ ნანგრევებიც კი აღარ დარჩენილა. იქ, სადაც ეს აყვავებული ქალაქი ურგენჩი იყო, ქერი დათესეს! დაიმორჩილა სპარსეთი, სამჯერ შეიჭრა ოქროს ურდოს სამფლობელოებში. 1402 წელს დაიწყო ომი თურქებთან, რომელთა სულთანი ბაიაზეთიც დაატყვევა და გალიით დაჰყავდა. დაპყრობილი ქალაქების მოსახლეობას თითქმის მთლიანად სპობდა, მოჭრილი თავებით გორაკებს აშენებდა.

თემურის სახელმწიფოს დედაქალაქი სამარყანდი გახდა. აი, აქ კი დიდი მშენებლობა გაჩაღდა. თემური თანხებს არ იშურებდა, ააგო ბევრი დიდებული შენობა, სასახლე, მეჩეთი, რომლებიც დღემდე შემორჩა, დიდი ისტორიულ-კულტურული ღირებულების გამო უამრავ ტურისტსაც იზიდავს.

**მოამზადა**
**გივი გამრეკელმა**

**რეკლამა** გ. ახვლედიანის ქ. №19.
„საქართველოს რესპუბლიკაში“
99-62-77; 899 32-85-76.

## კადრი



## ანეკდოტები

**ექიმი დიდხანს სინჯავს ავადმყოფს, მერე კი კარგა ხანს ხმას არ იღებს.**

– რა იყო, რა მჭირს, ექიმო?

– სიმართლე გითხრათ, არ მომწონს თქვენი დაავადება.

– რა ვქნა, ექიმო, სხვა არა მაქვს და...

* * *

– მარო, რა გიყიდო დაბადების დღეზე? – ეკითხება ქმარი.

– ჯერ არ მომიფიქრებია, საყვარელო.

– კარგი, მაშინ ერთ წელიწადს გაძლევ მოსაფიქრებლად.

* * *

ჭიჭიკია საიუველირო მაღაზიაში შევიდა.

– რა ღირს ეს ბეჭედი? – ეკითხება გამყიდველს.

– 10 ათასი დოლარი.

– აუუუ! ეს სამაჯური?

– ორჯერ აუუუ, ბატონო.



* * *

ბინაში ზარი ირეკება. დიასახლისი კარს აღებს. პარმაღთან ორი სათვალიანი ბრგე ტიპი დგას.

– რეკეტიორი თქვენ გამოიძახეთ?

– არა...

– მაშინ გადაიხადეთ 200 დოლარი ცრუ გამოძახებისთვის.

* * *

– ნატაშა, ეგ შენი პრინციპები შეიტენე ერთ ადგილას, სადაც ჯერ შენთვის არავის არაფერი შეუტენია.

– ...ეს რომელი ადგილია?

SAKARTVELOS RESPUBLIKA

გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19

ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ (დავით აღმაშენებლის 150. ტ: 899 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
99-62-77;
899 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 899 53-76-16;
რუსლან რუსია 899 17-21-21;
სპარტაკ ქობულია 899 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 879 01-04-77

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.